

„სტუდენტური სესხებისა და გრანტების ხელმისაწვდომობის  
გაზრდა კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის  
გაუმჯობესების გზით“

*(პროგრამის განვითარების სტრატეგია და იმპლემენტაციის გეგმა)*

დიმიტრი ჯაფარიძე  
*ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

გიორგი ცუცქერიძე  
*საქართველოს ბანკების ასოციაცია*

თბილისი

2009

## შ ი ნ ა ა რ ს ი

„სტუდენტური სესხებისა და გრანტების ხელმისაწვდომობის გაზრდა კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის გაუმჯობესების გზით“ .....	3
I. კვლევის მიზნები .....	3
II. კვლევის მეთოდოლოგია .....	4
კვლევის ამოცანები.....	4
კვლევის მეთოდი.....	5
თვისობრივი მეთოდები.....	5
რაოდენობრივი მეთოდები.....	6
III. მსოფლიოში არსებული პრაქტიკა სტუდენტური სესხების მომსახურების კუთხით	6
IV. უ/განათლების სწავლების სახელმწიფო საგრანტო პროგრამა და კერძო არამომგებიანი ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები .....	10
სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტების დაფინანსების პროგრამა.....	12
უცხოეთში უ/განათლების სასწავლო პროგრამების დაფინანსება საერთაშორისო არამომგებიანი ორგანიზაციების მიერ .....	13
V. სტუდენტური სესხებისა და საგრანტო დაფინანსების სფეროში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის შესაძლებლობები.....	15
VI. სტუდენტური სესხების დინამიკა საქართველოში .....	18
მოთხოვნა-მიწოდება წინა წლებში და 2009 წლის პროგნოზი.....	18
VIII. კომერციული ბანკების მიმდინარე და სამომავლო გეგმები სტუდენტური სესხების მომსახურების კუთხით .....	22
IX. 2009 წელს სტუდენტურ სესხებზე მოსალოდნელი მოთხოვნის პროგნოზი.....	24
სტუდენტების გადახდისუნარიანობის შეფასება.....	24
მშობლების მოსალოდნელი ქცევა გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებით.....	26
X. კორპორატიული სექტორის დამოკიდებულება უ/განათლების საწავლო პროგრამების საქველმოქმედო დაფინანსებასთან მიმართებით. ....	31
XI. დასკვნა .....	37
სტუდენტურ სესხების პორტფელთან მიმართებაში ბანკების აქტივობის შეფასება 2009 -10 წლებში .....	38
XII. რეკომენდაციები.....	41

„სტუდენტური სესხებისა და გრანტების ხელმისაწვდომობის გაზრდა კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის გაუმჯობესების გზით“

სტუდენტური სესხების პროგრამის კვლევის მიზანს წარმოადგენს სესხების მომსახურების ხელშემწყობი მექანიზმების გამოვლენა. პროგრამის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს ის, რომ ყველა სტუდენტმა, ვისაც უ/განათლების მიღების სურვილი გააჩნია და აკრედიტაცია წარმატებით გაიარა, შესძლოს სწავლის საფასურის გადახდა სესხისა თუ საქველმოქმედო დახმარების საშუალებით.

წინამდებარე დოკუმენტის ძირითადი ამოცანას შეადგენს შეისწავლოს საქართველოში უ/განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხი და აგრეთვე იმ შესაძლებლობების გამოვლენა, რაც საშუალებას მოგვცემს უ/განათლების დაფინანსების მზარდი ხარჯები გაწეული იქნეს თანაზიარი დაფინანსების პრინციპის საფუძველზე კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის.

პროგრამის ამოცანებს და მოკლევადიანი მიზნებს წარმოადგენს:

1. კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოვლენა, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას სტუდენტების სასესხო რესურსით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
2. გამოავლინოს უ/განათლების სწავლების საფასურის დაფინანსების ალტერნატიული რესურსები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტური სესხების პორტფელის მოცულობის ზრდას.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია სტუდენტური სესხების მომსახურების განსხვავებული კონცეფციები მსოფლიოს მასშტაბით და წარმოჩენილია ის განმასხვავებელი მიდგომები რაც საფუძველად უდევს აღნიშნულ სტრატეგიებს.

## I. კვლევის მიზნები

კვლევა უპასუხებს შემდეგ ძირითად კითხვებს:

1. რამდენად შესაძლებელია კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობა სტუდენტური სესხების მომსახურების სფეროში?
2. რა სახის პირობების ჩამოყალიბებაა საჭირო იმისათვის, რათა შედგეს სახელმწიფო და კერძო სექტორების წარმატებული თანამშრომლობა სტუდენტური სესხების მომსახურების კუთხით?
3. როგორია საკრედიტო მომსახურების პირობები, რაც სტუდენტების მზარდ დაინტერესებას გამოიწვევს და ხელს შეუწყობს სასესხო პორტფელის ზრდას?

4. რა საკანონმდებლო და მარეგულირებელი ღონისძიებების გატარებაა საჭირო იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას კერძო სექტორის დაინტერესება სტუდენტური სესხების სფეროში სახელმწიფო სექტორთან სათანამშრომლოდ?

## II. კვლევის მეთოდოლოგია

### კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანებს შეადგენს პასუხი გაცეს 2006-08 წლებში სტუდენტური სესხების პორტფელის დინამიკისა და ხარისხის მახასიათებელ შემდეგ ძირითად კითხვებს:

1. როგორია სტუდენტური სესხების სტატისტიკა 2006-08 წლების მიხედვით?
  - a. საბაკალავრო პროგრამებში
  - b. სამაგისტრო პროგრამებში
2. უცხოურ უნივერსიტეტებში სტუდენტური სესხების მომსახურების მეშვეობით სწავლის საფასურის დაფინანსების რა მექანიზმები გამოიყენება?
3. როგორი იყო საპროცენტო განაკვეთების დინამიკა სტუდენტურ სესხების მომსახურების პროდუქტთან მიმართებაში 2006-08 წლების განმავლობაში?
4. რა მოცულობების სტუდენტური სესხები დაფიქსირდა 2006-08 წლებში სხვადასხვა უ/გ დაწესებულებების მიხედვით?
5. სტუდენტური სესხების დაბრუნების რა მაჩვენებლები ფიქსირდება მიმდინარე პერიოდში?
6. როგორია ზოგადად საბანკო სისტემის და თითოეული საბანკო ინსტიტუტის ჩართულობა სტუდენტური სესხების მომსახურებასთან მიმართებაში?
7. სტუდენტური სესხის როგორ ვადიანობას ანიჭებენ სტუდენტები უპირატესობა?
8. საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში გაიზრდება თუ არა საერთო მოთხოვნა სტუდენტურ სესხებზე?
9. მიმდინარე გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე უ/განათლების სწავლების საფასურის გადახდის თავლსაზრისით რა სახის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას?

დღეისათვის გლობალური მასშტაბით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიისა და აგრეთვე ქვეყანაში ომისშემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი სირთულეებიდან გამომდინარე საგრძნობლად იცვლება სოციალურ-ეკონომიკური გარემო. ნაციონალური ეკონომიკური სისტემის ზრდის შეფერხება უარყოფითად აისახება ეკონომიკური აგენტების - კერძოდ, საბანკო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე. ისინი მეტ თავშეკავებულობას აფიქსირებენ ზოგადად საკრედიტო საქმიანობისა და კონკრეტულად სამომხმარებლო სესხების მომსახურების განგრძობის კუთხით. პირველყოვლისა აღნიშნული შეეხება არაუზრუნველყოფილ სესხებს - მათ შორის სტუდენტურ სესხებსაც. შესაბამისად წინამდებარე კვლევის ძირითად ამოცანას განეკუთვნება შეისწავლოს საფინანსო მომსახურების სფეროს შუამავალი აგენტების-კომერციული ბანკების საოპერაციო სტრატეგია სტუდენტურ სესხებთან მიმართებით მიმდინარე ეტაპზე. აქცენტი აღებული იქნება კომერციული საბანკო ინსტიტუტების

საპროგნოზო ქცევაზე ისეთი მასტიმულირებელი ფაქტორის მიმართ, როგორც წარმოადგენს სახელმწიფოსთან თანამშრომლობის მოდელის(PPP –Public Private Partnership) განვითარებით მიმდინარე კრიზისულ ეტაპზე სტუდენტურ სესხების მომსახურების განვლილი წლების დინამიკის შენარჩუნება და ასევე ზრდა.

კვლევა ზუსტად დაადგენს იმ პირობებს, რისი უზრუნველყოფის შემთხვევაშიც კომერციული ბანკები დაძლევენ რისკ-ფაქტორებით გამოწვეულ თავშეკავებას და აღნიშნული მომსახურების გაწევას განაგრძობენ მიმდინარე 2009 წელს. სავარაუდოა, რომ ამგვარ პირობებად კომერციული ბანკები განიხილავენ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სხვადასხვა არჩევანს:

- სტუდენტური სესხების გასაცემად სახელმწიფოს მიერ საკრედიტო რესურსის თანადაფინანსების პრინციპით გამოყოფა
- სტუდენტური სესხების პორტფელის ფორმირებაში რისკის გაზიარების პრინციპი
- სტუდენტური სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება და ა.შ.

იმისათვის, რათა გამოირიცხოს ანალიზის ცალმხრივობა, კვლევა შეისწავლის სტუდენტური სესხების ტრანსაქციული ციკლის მონაწილე ორივე ეკონომიკური აგენტის მოსალოდნელ ქცევას, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის კუთხითაც. შესაბამისად მოთხოვნის კუთხით არსებული ტენდენციების გამოსავლინებლად დეტალურად იქნება შესწავლილი ძირითადი ბენეფიციარი სუბიექტების - სტუდენტთა მზაობა ზემოხსენებული მომსახურების მისაღებად. კვლევის უმთავრეს ამოცანას განეკუთვნება მოთხოვნის სუბიექტის - სტუდენტური კორპუსის ქცევაში( საფინანსო გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით) ბოლო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენების შესაძლო ზეგავლენის გამოვლენა.

## კვლევის მეთოდი

კვლევა მიმოიხილავს სტუდენტური სესხების კვლევის კუთხით აკუმულირებულ თეორიულ და ემპირიულ მასალას. განხილული და შესწავლილი იქნა საერთაშორისო პრაქტიკის ქართულ რეალობაში გამოყენების მიზანშეწონილობა. კვლევის ძირითადი აქცენტი დაეთმო სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის შესაძლებლობას სტუდენტური სესხების მომსახურების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები კვლევის მიზნებისათვის ადექვატური მასალის მოსაპოვებლად. კვლევის დიზაინი მიზნად ისახავს არამარტო პრობლემის აღწერას, არამედ მისი განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირებასაც და შესაბამისად იგი *ანალიტიკური* ხასიათისაა.

## თვისობრივი მეთოდები

თვისობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოყენებული იქნა ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსიის მეთოდი. კერძოდ იგულისხმება შემდეგი ღონისძიებები:

1. კვლევითი ჯგუფის მიერ საბანკო ასოციაციაში მოეწყო სტუდენტური სესხების მომხმარებლებისაგან შემდგარი 2 ჯგუფის( 10-12 სტუდენტი) გამოკითხვა იმ ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად, რაც მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებს სტუდენტების მიერ სესხის აღების გადაწყვეტილების მიღებაზე. ფოკუსირი ჯგუფის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით შედგა კითხვარი, რომელიც დაურიგდათ სტუდენტებს შესავსებად.
2. კვლევითი ჯგუფის მიერ მოეწყო საკვლევი საკითხების ჯგუფურ განხილვა საბანკო ასოციაციაში მოწვეულ სტუდენტურ სესხებზე მომუშავე კომერციული ბანკების საკრედიტო დეპარტამენტების მომსახურე ოფიცრებთან ერთად . სკრედიტო ოფიცრების მიერ წარმოდგენილი იქნა მათი ინდივიდუალური მოსაზრებები საკვლევ პრობლემასთან მიმართებით, ხოლო ფოკუსური ჯგუფის სხვა წევრებმა მოახდინეს ინდივიდუალურად და ჯგუფური განხილვის მეთოდით გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზება და დახვეწა.
3. კვლევითი ჯგუფის მიერ მოეწყო კვლევის კითხვების გაცნობა და განხილვა დამსაქმებელთა ასოციაციის წევრ 25 კომპანიასთან ერთად. დაკომპლექტებული იქნა 3 ფოკუსური ჯგუფი ბიზნესის მოცულობებისა და დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობების კრიტერიუმის საფუძველზე.

## რაოდენობრივი მეთოდები

1. სტუდენტების ფოკუსირი ჯგუფის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით შედგა კითხვარი, რომელიც დაურიგდათ სტუდენტებს შესავსებად. სულ შესწავლილი იქნა 350 კითხვარი.
2. სტატისტიკური მონაცემების მოპოვება განხორციელდა კომერციულ ბანკებში არსებული საკრედიტო ხელშეკრულებების კრებსითი მონაცემების საფუძველზე. კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი იქნა საშუალო მაჩვენებლები სტუდენტური სესხების მოცულობის, ვადიანობის, საპროცენტო განაკვეთების, საგირავნო უზრუნველყოფის, ვადაგადაცილებული დავალიანებების მოცულობისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების თაობაზე. აღნიშნული ღონისძიების მთვარი მიზანს წარმოადგენდა ბანკებში არსებული ინფორმაციის განზოგადება. აღნიშნული მონაცემები მიღებულ იქნა უშუალოდ ბანკების საკრედიტო დეპარტამენტებთან თანამშრომლობით.

აღნიშნული კვლევის დიზაინის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ადექვატური რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორების მოპოვება, ანალიზი და ინტერპრეტირება.

## III. მსოფლიოში არსებული პრაქტიკა სტუდენტური სესხების მომსახურების კუთხით

გასული საუკუნის 60-იან წლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მასშტაბებმა მსოფლიოში განსაკუთრებული ზრდა განიცადა, რის საფუძველსაც წარმოადგენდა მთავრობების მიერ მნიშვნელოვანი სახელმწიფო რესურსების ინვესტირება აღნიშნულ სფეროში. განათლების სექტორში მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსები წარმართვა ინვესტირების ყველაზე მომგებიან საშუალებად იქნა მიჩნეული. ზრდა განსაკუთრებულად თვალნათელი გახდა უმაღლესი განათლების დაფინანსების სფეროში. კერძოდ, 1955 წლიდან 1986 წლამდე პერიოდში განვითარებად ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა ინდონეზიაში 36-ჯერ, ტაილანდში 33-ჯერ, ვენესუელაში 60-ჯერ, მადაგასკარში-87-ჯერ, კენიაში 103-ჯერ. ასევე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ანალოგიურ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებშიც: ესპანეთში 15-ჯერ, შვედეთში 9,7-ჯერ, ავსტრიაში 9,4-ჯერ, საფრანგეთში 6,7-ჯერ, ა.შ.<sup>1</sup>

მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე მრავალმა ქვეყანამ განახორციელა მცდელობა, რომ განათლების სფეროს დაფინანსებაში ჩამოეყალიბებინა ახალი მიდგომები, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის განვითარების იდეას. მიუხედავად ძიებისა და შედეგების მრავალფეროვნებისა, ყველა ქვეყანა ერთგვაროვან დასკვნამდე მივიდა - თანაზიარი დაფინანსების პრინციპის გამოყენება ბევრად უფრო ეფექტიან შედეგს იძლევა, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფო ან მხოლოდ კერძო დაფინანსების მექანიზმზე დაფუძნებული სისტემა.

სტუდენტური სესხების პროგრამები დღეისათვის მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში ხორციელდება. თითოეული მათგანი განსხვავებული ფორმისაა და სხვადასხვა პროცედურების საფუძველზე მიმდინარეობს. განსხვავებულია ასევე მიზნებიც, რასაც აღნიშნული სესხები ემსახურება. სესხები ძირითადად გაიცემა სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებზე, უმცირესობის ჯგუფებზე, ფიზიკურ უნარს მოკლებულ თუ სხვა სახის ჯგუფებზე. სტუდენტური სესხების პროგრამები მიზნად ისახავს როგორც სწავლების საფასურის, ასევე სტუდენტების საცხოვრებელი, სასწავლო ლიტერატურისა და აქსესუარების ხარჯების დაფარვას.

ასევე განსხვავებულია სესხების *ადმინისტრირების პროცედურები და ორგანიზაციული მოდელი*, სესხების გაცემის პირობები და მოცულობები, საგარანტიო და სამემოსავლო მოთხოვნები და ა.შ.

მდიდარი გამოცდილება დაგროვდა სტუდენტური სესხების მომსახურებაში კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის კუთხით. აშშ-ს გააჩნიათ ფედერალური, საშტატო და ინსტიტუციონალური საკრედიტო პროგრამები. კანადაში ხორციელდება ნაციონალური და რეგიონული საკრედიტო სქემები. ლათინური ამერიკის ქვეყნებში სტუდენტური სესხების დაფინანსების მრავალი პროგრამა გამოიყენება, მათ შორის კერძო არამომგებიანი

---

<sup>1</sup> J.C Eicher, T Chevailler, Rethinking the Financing of Post-Compulsory Education.

ორგანიზაციებისა და მსხვილი კომპანიების მიერ სპონსორული დახმარების გაწევის პროგრამებიც.

ასევე განსხვავებულია სტუდენტური სესხების პროგრამების ადმინისტრირებაც, რაც ძირითადად სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ხორციელდება. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც კერძო სექტორი გვევლინება სესხის გამცემად, სახელმწიფო მაინც კისრულებს გარანტორის როლს.

ხშირ შემთხვევებში სახელმწიფო გვევლინება სესხის გაცემ დამოუკიდებელ ორგანოდ. ამგვარი დაწესებულებები ფუნქციონირებენ „რევოლვერული ფონდების“ მართვის პრინციპით, რაც გულისხმობს საწყისი კაპიტალიზაციის შედგომ პერიოდში თვითაფინანსებას მიმდინარე საკრედიტო პორტფელის ხარჯზე. თუმცა აღნიშნული მექანიზმის წარმატებული განხორციელება არცთუ ხშირი მოვლენაა, ვინაიდან სესხები ხშირად მოითხოვენ სუბსიდირებას და ზარალიანობის შემთხვევაც ხშირია. ამგვარი დამოუკიდებელი დაწესებულებები ფუნქციონირებენ ევროპაში, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში.

ასევე ადმინისტრირების მნიშვნელოვან მოდელს განეკუთვნება კომერციული ბანკების მონაწილეობა სტუდენტური სესხების მომსახურების პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ ასეთი ბანკების მესაკუთრეებად გვევლინებიან როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორები. ზოგიერთი მათგანი სასესხო პროგრამებს დამოუკიდებლად წარმართავენ, ხოლო ხშირ შემთხვევებში კი ბანკები მხოლოდ სესხების მომსახურე დაწესებულებებად გვევლინებიან. ბრაზილიაში, სახელმწიფო საკუტრებაში მყოფი კომერციული ბანკი სტუდენტური სესხების პორტფელის მომსახურებას 1975 წლიდან ეწევა. სხვა ქვეყნებში ანალოგიურ პროგრამებს კომერციული ბანკები ემსახურებიან როგორც სახელმწიფო დახმარების, ასევე ამ უკანასკნელის გამოყენების გარეშე. აშშ-ში კომერციული ბანკები გასცემენ და იბრუნებენ სესხებს, ხოლო მთავრობა გამოდის გარანტორის როლში. მთლიანობაში მთავრობებს კერძო სექტორთან სათანამშრომლოდ სერიოზული *მოტივაცია* გააჩნია:

1. მთავრობა კერძო სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზე დაყრდნობით ანხორციელებს ხარჯების ოპტიმიზაციას სესხების მომსახურების პროცესში.
2. მთავრობა არ საჭიროებს სესხების მომსახურებისათვის სპეციალური ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას
3. მთავრობა არ საჭიროებს საწყისი კაპიტალის დანახარჯის გაწევას.

ამგვარ მოდელ კანადასა და დანიაშიც გამოიყენება. თუმცა კომერციული საბანკო სისტემის მეშვეობით სტუდენტური სესხების პროგრამის მართვა არ იძლევა სესხების დაუბრუნებლობის გარანტიას, რაც უფრო მეტად სტუდენტური სესხების კუთხით წარმოებული პროტექციონისტული პოლიტიკის ბრალია და არა კომერციული ბანკების მიერ გაწეული მომსახურების ნაკლოვანებისა.



ხშირ შემთხვევებში სტუდენტური სესხის გამცემ და მომსახურედ გვევლინებიან სახელმწიფო სტრუქტურები. ტრანსაქციები პირდაპირ ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების ბიუჯეტებიდან, რითაც გვერდს უვლიან ახალი დამინისტრაციული სტრუქტურების შექმნის საჭიროებებს. აღნიშნული ტიპის სტრუქტურები ფუნქციონირებენ ავსტრალიაში, განაში და ა.შ.

ასევე საინტერესოა რიგი ქვეყნების მიერ საგადასახადო სისტემების გამოყენება ნაცვლად სპეციალიზებული სასესხო მომსახურების დაწესებულების შექმნისა. თუმცა ხშირ შემთხვევაში, მაგალითად დიდ ბრიტანეთსა და ახალ ზელანდიაში ეს გზა უარყოფილი იქნა იმ მიზეზის გამო, რომ თავიდან აეცილებინათ ამ ორგანოებისათვის სესხების მოსახურების საფუძველზე წარმოქმნილი დამატებითი სირთულეები.

მსოფლიოს მასშტაბით სტუდენტური სესხების მართვისას ქვეყნები იყენებენ მრავალფეროვან მიდგომებს. აღნიშნულ მრავალფეროვნებას გააჩნია ერთი კანონზომიერება. კერძოდ, თითოეულ შემთხვევაში სესხების მომსახურების სქემა ორიენტირებულია ნაციონალურ სპეციფიკაზე და ქმნის მაქსიმალური ეფექტის მიღების წინაპირობას.

წარმატებული პროექტების ძირითადი მანიშნებელი არის ის, რომ აღნიშნულმა მოდელებმა თავი გაართვეს ძირითად მიზანს - სტუდენტური სესხების ღონისძიებებში ჩართული იქნა სხვადასხვა მხარე და შესაბამისად გადაწყვეტილი იქნა „დანახარჯების თანაზიარობის“ მექანიზმის დანერგვის ამოცანა. წარმატებული პროგრამების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ის დაინტერესებული მხარეები, რომლებიც სტუდენტური სესხების დაფინანსების საფუძველს ქმნიან:

1. სახელმწიფო( გადასახადის გადამხდელები)
2. მშობლები
3. სტუდენტები
4. მესამე პირები მათი თავდებობის მექანიზმების გამოყენებით
5. კერძო სექტორი(ქველმოქმედების სახით)

სტუდენტური სესხების დაფინანსებაში მიღწეული პროგრესის უპირველეს საზომს წარმოადგენს ის, თუ რამდენად მიღწეულია დამფინანსებლების წრის გაფართოების ამოცანა და სქემაში სახელმწიფო სექტორთან ერთად ჩართულნი არიან *კერძო სექტორი, სტუდენტები და მშობლები*.

სტუდენტური სწავლების წარმატებული დაფინანსების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ „დანახარჯების თანაზიარობის“ მექანიზმმა უზრუნველყოს დავალიანების მომავალში დაფარვის შესაძლებლობა. უ/განათლების მისაღებად აღებული დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა კურსდამთვრებულს წარმოექმნება მომავალში, როდესაც იგი შეძლებს მიღებული უ/განათლების საფუძველზე შრომითი საქმიანობის დაწყებას. შესაბამისად, დავალიანების დაფარვის სიმძიმის სამომავლოდ გადატანა აღნიშნული მოდელის წარმატების

ძირითად საწინდარს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა აღნიშნული დავალიანება კურსდამთვრებულს წარმოექმნა სახელმწიფოსთან თუ ზოგადად კაპიტალის ბაზართან მიმართებით(კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თუ სხვადასხვა საკრედირო და საინვესტიციო ორგანიზაციების მიმართ).

უ/განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად კერძო სექტორის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია. სწორედ კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის საფუძველზეა შესაძლებელი ისეთი გარემოს ფორმირება, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს განათლების მისაღებად აუცილებელი ფინანსური რესურსის დავალიანების დაფარვის სიმძიმე გადატანილი იქნეს იმ დროისათვის, როდესაც კურსდამთვრებულის ინტეგრირება მოხდება შრომით ბაზარზე. თავად პროგრამის კონცეპტუალიზაცია, საკანონმდებლო გარემოში ინტეგრირება და მართვა უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ სრულად დააკმაყოფილოს უ/განათლების ბაზარზე არსებული მოთხოვნა ფინანსირების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მიუხედავად მსურველის სოციალური მდგომარეობისა.

#### IV. უ/განათლების სწავლების სახელმწიფო საგრანტო პროგრამა და კერძო არამომგებიანი ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები

სახელმწიფო საბაკალავრო სასწავლო გრანტების პროგრამის მიზანია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გრანტები გაიცემა საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის საფასურის დასაფარავად. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა საგრანტო პროგრამამ მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა 2005 წლიდან დღემდე. მიმდინარე წლებში დაფინანსების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი # 1.

სახელმწიფოს მიერ უ/განათლების საბაკალავრო სწავლების საგრანტო დაფინანსება მიერ(ლარი)<sup>2</sup>

წელი	რეგისტრირებული აბიტურიენტი	უსდ ჩარიცხული სტუდენტები	სულ მერიტოკრატიული გრანტის მიმღები სტუდენტები	დაფინანსება	სახელმწიფო სასწავლო გრანტი (ნაზარდი ჯამით, ლარებში)
------	----------------------------	--------------------------	---	-------------	---

<sup>2</sup> განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2009 წელი

					100%	70%	50%	30%	
2005	31171	16507		4162	4162	0	0	0	1693000
2006	32791	19479		9245	981	1478	2007	4779	7812000
2007	39295	15444	3647	7906	982	1346	2105	3473	15000000
2008	24150	15559	2798	8273	982	1481	2016	3794	21000000
2009		25054	2570						29413000

სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება განისაზღვრება მერიტოკრატიული და სოციალური კრიტერიუმების საფუძველზე და გაიცემა სამ ძირითად კატეგორიაზე:

- ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ქულის/ქულების აბსოლუტური რანჟირებით ჩარიცხულ სტუდენტების დაფინანსება,
- სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის
- უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ხელშეწყობის პროგრამა.

დაფინანსების მიმართულებების მიხედვით განაწილება შემდეგი სახისაა:

ცხრილი #2.

დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით<sup>3</sup>

მიმართულებები	2005-2006	2006-2007	2007-2008		2008-2009	
	საგანმანათლებლო პროგრამა					
	აკად.	აკად.	პროფ.	აკად.	აკად.	პროფ.
მერიტოკრატიული გრანტი (ქულების აბსოლუტური რანჟირების მიხედვით)	4200	8273	113	8186	8273	
სოციალური გრანტი და ერთდჯერადი დაფინანსება	250	552	100	335	1120	200
უცხო ქვეყნის მოქალაქეების ხელშეწყობა	26	34	12	26	1	0

<sup>3</sup> განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2008 წელი

## სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტების დაფინანსების პროგრამა

მიმდინარე ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტების დაფინანსების პროგრამა. ასევე განსაზღვრულია პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის მიხედვითაც აკრედიტებულ უ/საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფინანსებული იქნება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიურ ოდენობას დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. მაგისტრანტობის კანდიდატი მოიპოვებს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს უ/საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე მაგისტრანტობის კანდიდატისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში. მომავალ სასწავლო წელს იგეგმება 1000 მაგისტრანტის საგრანტო დაფინანსება პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

## განვითარებისა და რეფორმების ფონდის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით „განვითარებისა და რეფორმების ფონდი“ მიმდინარე პერიოდში დააფინანსებს საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები დაფინანსებული იქნება მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილ 50 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სტუდენტები შეძლებენ გაიარონ სამაგისტრო პროგრამები სახელმწიფო გრანტის საფუძველზე შემდეგ სფეროებში:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- სამართალი
- საინჟინრო საქმე
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ურბანული მენეჯმენტი და სხვ.

გასული წლების განმავლობაში განვითარებისა და რეფორმების ფონდის მიერ საგრანტო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება უცხოეთის უ/საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2005 წელს პრეზიდენტის განვითარებისა და რეფორმების ფონდის საშუალებით დაიწყო საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად გრანტების გაცემა. 2005-07 წლებში ფონდმა დააფინანსა საზღვარგარეთ 160 ქართველი მაგისტრანტის სწავლება. 2008 წლიდან ამუშავდა სტუდენტური სესხების პროგრამა „ცოდნის კარი“, რომლის საშუალებით 54 სტუდენტმა შეძლო სუბსიდირებული სტუდენტური სესხის დახმარებით სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელება. 2009 წელს გრანტების სახით გაცემული თანხა აღნიშნული დაფინანსება გაზრდილი იქნა 3,5 მილიონ ლარამდე.

ცხრილი # 3.

განვითარებისა და რეფორმების ფონდის ფარგლებში 2005-08 წ.წ. გაცემული სასწავლო სტიპენდიები<sup>4</sup>

	2005	2006	2007	2008	2009
გრანტის მიმღები სტუდენტების რაოდენობა	34	38	88	54	
პრიორიტეტული სფეროები	სამართალი	ბიზნეს ადმინისტრირება სახელმწიფო მართვა	არქიტექტურა ურბანული დაგეგმარება სამოქალაქო ინჟინერია სახელმწიფო მართვა	ბიზნესის ადმ., სამართალი სამოქალაქო ინჟინერია	ბიზნესის ადმ., სამართალი სამოქალაქო ინჟინერია
სულ გრანტების სახით გაცემული თანხა	471,722	1,000,000	2,000,000	2,000,000	3,500,000

უცხოეთში უ/განათლების სასწავლო პროგრამების დაფინანსება საერთაშორისო არამომგებიანი ორგანიზაციების მიერ

უ/განათლების სასწავლო პროგრამების საგრანტო დაფინანსების სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), საერთაშორისო განათლების ცენტრი, ბრიტანეთის საბჭო, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, და სხვ.

IREX უ/განათლების მისაღებად სტუდენტებს დახმარებას სთავაზობს 2 პროგრამის ფარგლებში:

1. ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა აშშ-ში.
2. გლობალური სტუდენტური გაცვლის პროგრამა 1-ლი, 2-ე და 3-ე კურსის სტუდენტებისათვის აშშ-ში.

მასკის პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს სამაგისტრო პროგრამის სწავლება გაიარონ აშშ-ს უნივერსიტეტებში ან კოლეჯებში. 1988 წლიდან დღემდე მასკის პროგრამის ფარგლებში სწავლება გაიარეს 302 კურსდამთავრებულმა. თითოეული მაგისტრის მომზადება წელიწადში დაახლოებით 25 000 აშშ დოლარი ჯდება, რაც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ფინანსდება. გლობალური სტუდენტური გაცვლის პროგრამის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ერთი(იურიდიული განათლების შემთხვევაში) ან ორწლიანია და არ ითვალისწინებს ხარისხის მინიჭებას, 1988 წლიდან დღემდე მომზადებულია 302 კურსდამთავრებული.

<sup>4</sup> განვითარებისა და რეფორმების ფონდი

საერთაშორისო განათლების ცენტრი სტუდენტებს დახმარებას უწევს სწავლების პროგრამები გაიარონ ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში: კოლუმბიისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტებში (აშშ), ოქსფორდის, კემბრიჯის, ესექსის, ვორვიკის და ედინბურგის უნივერსიტეტებში (დიდი ბრიტანეთი), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (უნგრეთი), ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში და სხვ. სასწავლო პროგრამები შეიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სწავლებას გადის დაახლოებით 50 მაგისტრანტი. აღნიშნული პროგრამის ღირებულება დაახლოებით 20 000 აშშ დოლარის ექვივალენტია რაც იფარება სტიპენდიის სახით. დიდ ბრიტანეთში საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების დაფინანსების მოსაპოვებლად ასევე სტუდენტებს დახმარებას უწევს ბრიტანეთის საბჭო.

უგანათლების საგრანტო დაფინანსების სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, DAAD-ის საქმიანობა საქართველოში. DAAD წარმოადგენს გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანებას, რომელიც აკადემიურ სფეროში სამეცნიერო ხასიათის გაცვლას უზრუნველყოფს. დღეისათვის გერმანიის უნივერსიტეტებში დაახლოებით 3000-ზე ქართველი სტუდენტი სწავლობს<sup>5</sup>. აღნიშნულ კატეგორიაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება DAAD -ის მიერ ორგანიზებულ საგრანტო აკადემიურ პროგრამებს, რომელთა შესახებ მონაცემებს ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი მოიცავს:

**ცხრილი #4.**

**DAAD-ს მიერ საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდიები.<sup>6</sup>**

	<b>BA</b> (1-6 თვემდე)	<b>MA</b> (1-2 წელი)	<b>კვლევა</b> (1-10 თვე)	<b>PhD</b> (3 წელი)	<b>მეცნიერთა</b> <b>სტაჟირება</b> (3 თვე)	<b>სულ</b>	
2002-03	18	12	5	4	14	53	
2003-04	16	5	6	-	10	39	
2004-05	21	10	9	4	19	59	
2005-06	18	6	7	1	18	50	
2006-07	37	12	11	2	23	85	
2007-08	36	8	11	2	25	82	
						<b>368</b>	

გარდა ზემოაღნიშნული დონორებისა, საზღვარგარეთ სტუდენტების სწავლებას აფინანსებდნენ: აირიშ ეიდი, ფულბრაიტის ფონდი, ფოლკსვაგენის ფონდი, თურინგიის ფედერაციული მხარე (გერმანია), იენის უნივერსიტეტი, ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტის დოქტორნატა სკოლა,

<sup>5</sup> <http://ic.daad.de/tbilissi>

<sup>6</sup> <http://ic.daad.de/tbilissi>

NED - დემოკრატიის ეროვნული ფონდი, ჰუმბოლდტის ფონდი, ონასისის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და ა.შ.

ყოველწლიურად უცხოური დაფინანსებით ბაკალავრიატზე სასწავლებლად მიდის --- სტუდენტი, სამაგისტრო პროგრამებზე --- სტუდენტი, სადოქტორო პროგრამებზე --- სტუდენტი. ერთწლიან გაცვლით პროგრამებზე --- სტუდენტი. დღეისთვის ამ სამი(თუ ოთხი) ფონდის მიერ დაფინანსებული სტუდენტების რიცხვი --- შეადგენს.

კერძო არამომგებიანი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სტუდენტების დასახმარებლად უ/განათლების მისაღებად. თუმცა მთლიანობაში ხვედრითი წილი აღნიშნული პროგრამების ძალზედ მცირეა საერთო იმ მოთხოვნასთან მიმართებით, რაც ქვეყანაში ფიქსირდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კუთხით.

## V. სტუდენტური სესხებისა და საგრანტო დაფინანსების სფეროში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის შესაძლებლობები

სტუდენტური სესხების გაცემისას კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის დასაგეგმავად საჭიროა კონკრეტული ორიენტირის დაწესება, რაც ბუნებრივია, ცვალებადი იქნება დროით ასპექტში. ასეთი ორიენტირი შეიძლება იყოს სტუდენტებისათვის უ/განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც მიახლოებით რაოდენობრივ მაჩვენებელს გულისხმობს. მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფო გრანტის სახით აფინანსებს სტუდენტების კონკრეტულ რაოდენობას. სახელმწიფო ასევე აფინანსებს ხარჯებს სტუდენტთა სპეციფიკური კატეგორიის სწავლებისათვის: იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, სოციალურად დაუცველი კატეგორიისათვის, ა.შ.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის #54 დადგენილებით ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული მოცულობა განისაზღვრა 10 632 000 ლარით, ხოლო სრული და ნაწილობრივი ოდენობის გრანტები აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის განისაზღვრა 8 970 000 ლარის ოდენობით.

გასული წლების განმავლობაში უ/განათლების სწავლების საფასურის ჯამური მაჩვენებლის დაახლოებით 35%(2005-08 წლების საშუალო მაჩვენებელი) იფარებოდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის საფუძველზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი საბანკო სესხებისა და შინამეურნეობების საფინანსო დანაზოგების ხარჯზე:

ცხრილი # 5.

საბაკალავრო და უ/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების წილი საჭირო სრული დაფინანსების მოცულობაში

წელი	აკრედიტებული სტუდენტები(ბაკალავრიატი, უ/პროფესიული)		სრული მოცულობით საჭირო დაფინანსება	სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება	თვითდაფინანსება (კერძო დანაზოგი, სესხი, საქველმოქმედო, ა.შ.)	სახელმწ. საგრანტო დაფინანსების წილი საჭირო სრული დაფინანსების მოცულობაში
	ბაკალავრი ატი	უ/პროფ.				
2005	16507		22683311	1693000	20990311	8%
2006	19479		28674000	7812000	21233848	26%
2007	15444	3647	27180050	15000000	12180050	55%
2008	15559	2798	38183150	21000000	17183150	55%
2009	25054	2570	77950575	29413000	44048893	43,5%

2009-10 სასწავლო წელთან მიმართებით გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1. აკრედიტებული სტუდენტების რაოდენობა 2009 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა (25 054 საბაკალავრო და 2570 უ/პროფესიული განათლების სტუდენტი) რაც 2008 წლის მაჩვენებელთან (15559) შედარებით 61%-იან ზრდას შეადგენს.
2. 2009 წელს აკრედიტებული სტუდენტებისათვის პირველის საფეხურის უ/განათლების სწავლების საფასური საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიზარდა 2250 ლარამდე.

2005-08 წლების განმავლობაში თვითდაფინანსების წლიური შეწონილი მოცულობები დაახლოებით 18 მილიონ ლარს შეადგენდა.

აღნიშნული მოცულობა ფინანსდებოდა შემდეგი წყაროების ხარჯზე:

1. შინამეურნეობების დანაზოგები
2. საბანკო სესხები
3. კერძო სექტორის ქველმოქმედება

ცხრილი # 6.

საბაკალავრო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების მოცულობები.

წელი	აკრედიტებ. სტუდენტები		სრული მოცულობით საჭირო დაფინანსება	სახელმწიფო საგრანტო დაფინანსება	თვითდაფინანსება (კერძო დანაზოგი, სესხი, საქველმოქმედო, ა.შ.)	თვითდაფინანსების წილი საჭირო სრული დაფინანსების მოცულობაში
	ბაკალავრ.	უ/პროფეს.				
2005	16507		22683311	1693000	20990311	92%



2006	19479		28674000	7812000	21233848	74%
2007	15444	3647	27180050	15000000	12180050	45%
2008	15559	2798	38183150	21000000	17183150	45%
2009	25054	2570	77950575	29413000	44048893	56,5%

2005-08 წლებში საბაკალვრო და უპროფესიული განათლების პროგრამების თვითდაფინანსების წლიურმა საშუალო მაჩვენებელმა მიაღწია სტაბილურ დონეს დაახლოებით 18 მილიონი ლარის ოდენობით. აღნიშნულ დონეზე ჩამოყალიბდა ბუნებრივი წონასწორობა, რაც უ/განათლების სწავლების საფასურის დავალიანების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა( არაუმეტეს 15%-ისა).

ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მითითებულ პერიოდში ადგილობრივ უ/საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლი საფასურის დასაფარად ბანკების მიერ გაცემული სტუდენტური სესხების მოცულობები შემდეგნაირად ნაწილდებოდა(აღნიშნული სესხების მოცულობები იგულისხმება თვითდაფინანსების საშუალო მაჩვენებელში - 18 მლნ ლარში):

- ⇒ 2006 წელს - 3154353ლარი
- ⇒ 2007 წელს - 7269086 ლარი
- ⇒ 2008 წელს - 8539857ლარი

2009 წელს თვითდაფინანსებისათვის საჭირო წილის მაჩვენებელი სრულ დაფინანსებაში იზრდება სრული მოცულობის 56,5%-მდე, რაც უდრის დაახლოებით 44 მილიონ ლარს.

სხვაობა 2005-08 წლებში ჩამოყალიბებულ თვითდაფინანსების ბუნებრივ წონასწორობისა და თვითდაფინანსების ახალ მაჩვენებლებს შორის აღწევს დაახლოებით 26 მილიონ ლარს(44000000 – 18000000 = 26 000 000. აღნიშნული მიახლოებითი მაჩვენებელი წარმოადგენს მომავალ სასწავლო წელს სახელმწიფოსა და კემო სექტორების თანამშრომლობის საფუძველზე დაფინანსების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებელ ნიშნულს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ მომავალი სასწავლო წელი, როგორც ომისშემდგომი და აგრეთვე გლობალური და რეგიონალური საფინანსო კრიზისის ფაზა, ხასიათდება რისკ ფაქტორების მაღალი შემცველობით როგორც ზოგადად სხვადასხვა სახის ხარჯების, ასევე კონკრეტულად უ/განათლების სწავლების საფასურის დაფარვასთან მიმართებით.საქართველოს ბანკების ასოციაციასთან, სპეციალურად ამ კვლევის მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ფოკუსური ჯგუფებისა და კომერციული ბანკების საკრედიტო დეპარტამენტების ინფორმაციით მოსალოდნელია ისეთი კატეგორიის სუბიექტების რიცხვის მატება, ვინც ფინანსური

პრობლემების გამო სწავლების საფასურის დასაფარად ფინანსური რესურსების მობილიზებას ვერ შეძლებს.


კომერციული ბანკების საკრედიტო დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირების ჩართვა ფოკუსურ ჯგუფში მოხდა მიზნობრივად, რადგან სწორედ ისინი ფლობენ დეტალურ ინფორმაციას გაცემული სესხების მიზნობრიობასა და დაფარვის ტენდენციებზე, ახორციელებენ რა უშუალოდ სესხების გაცემის პროცედურას და მონიტორინგს უკვე გაცემულ სესხებზე. ამგვარად, კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის სამიზნე სეგმენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება მომავალ სასწავლო წელს, ვინაიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიერ ზემოხსენებული ორი ფაქტორის(სწავლის საფასურის მატება, აკრედიტებულ სტუდენტთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა) გათვალისწინებით სწავლის აგრეგირებული საფასურის ნაკლები პროპორციული წილი დაიფარება ასიგნებული საგრანტო რესურსით. მოსალოდნელია, რომ გაიზრდება რიცხვი სტუდენტებისა, ვინც ვერ შეძლებს სწავლის საფასურის გადახდას და შესაბამისად სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა შეიზღუდება სტუდენტთა უფრო ფართო წრისათვის. სწორედ აღნიშნული საფინანსო დეფიციტი( 26 მლნ ლარი) უნდა გადაიფაროს კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის საფუძველზე.

ამგვარ ვითარებაში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის წარმატებულობა განმსაზღვრელი ფაქტორია იმისა, თუ რამდენად სრულად იქნება დაკაყოფილებული სტუდენტთა ფართო კატეგორია სესხებით და საქველმოქმედო დახმარებით.

## VI. სტუდენტური სესხების დინამიკა საქართველოში მოთხოვნა-მიწოდება წინა წლებში და 2009 წლის პროგნოზი


შესწავლილი იქნა კომერციული ბანკების დამოკიდებულება სტუდენტური სესხების პორტფელის ფორმირებისადმი. აღნიშნული პროდუქტის მომსახურების ანალიზი ჩატარებული იქნა ბოლო წლებში საბანკო მომსახურების ბაზარზე სამომხმარებლო სესხების მიწოდების კონტექსტში. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმა გამოავლინა მეატად ნიშანდობლივი ტენდენციები მთლიანობაში სამომხმარებლო სესხების მომსახურების მოცულობების თავლსაზრისით, რაც პირდაპირ აისახა სტუდენტური სესხების პორტფელის დინამიკაზეც. ბოლო წლების მანძილზე სამომხმარებლო სესხების ჯამური პორტფელი მნიშვნელოვან ზრდას განიცდიდა, წარმოდგენილი იქნა მრავალი სამომხმარებლო სასახო პროდუქტი. კომერციული ბანკების უმრავლესობა აქტიურად ჩაება ინოვაციური სამომხმარებლო სესხების მომსახურების დანერგვაში. სამომხმარებლო სესხების ბაზარი 2007 წელს უპრეცედენტო ზრდის ტემპებს აფიქსირებდა. სამომხმარებლო სესხების პორტფელის მოცულობამ თავის მაქსიმუმს 2008 წლის დასაწყისში მიაღწია რაც 1 135 046 000 ლარს შეადგენდა:

დიაგრამა #1. სამომხმარებლო სესხების პორტფელის დინამიკა 2007-08 წ.წ. (ათასი ლარი)



აღნიშნული პერიოდისათვის სამომხმარებლო სესხების პორტფელში სტუდენტურ სესხებთან ერთად წარმოდგენილი იქნა შემდეგი სამომხმარებლო პროდუქტი: ავტოგანვადება, სამომხმარებლო საქონლისა და სხვა სახის საოჯახო ნივთების შეძენა, საკრედიტო ლიმიტების დაშვება ბარათზე და ა.შ. მითითებულ პერიოდში სამომხმარებლო სესხების საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად გაიზარდა (წლიური 25-35%) რისი მიზეზიც სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებიდან საკრედიტო რესურსის არასაკმარისი მოწოდება იყო:

დიაგრამა # 2 . სამომხმარებლო სესხების საპროცენტო განაკვეთები 2007-08 წლებში



სამომხმარებლო სესხების ბაზრის ზრდა დადებით აისახა ასევე კომერციული ბანკების დამოკიდებულებაზე სტუდენტური სესხების მომსახურების მიმართაც, თუმცა 2008 წლის იანვრიდან დაფიქსირდა სამომხმარებლო სესხების პორტფელის კლება.

საქართველოში სტუდენტური სესხების ინტენსიური მომსახურება კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს 2006 წლიდან და შესაბამისად აღნიშნული პროდუქტი დინამიური ზრდით ხასიათდებოდა მათ საკრედიტო პორტფელებში. 2007 წელს ხუთი ბანკის მიერ სტუდენტური

სესხი გაიცა 5,500 სტუდენტზე და სესხების ჯამმა 6 მილიონი ლარი შეადგინა. სესხები გაიცა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთის უსაგანმანათლებლო დაწესებულებებში („ცოდნის კარის“ პროგრამის ფარგლებში) სწავლების ღირებულების დასაფარად.


სამომხმარებო სესხების დინამიკა კვლევაში გამოყენებულია იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საბანკო პრაქტიკაში სტუდენტური სესხების ცალკე კლასიფიკაცია არ ხდება, ამ ტიპის სესხები მიეკუთვნებიან რა არაუზრუნველყოფილი სესხების კატეგორიას გადიან სამომხმარებლო სესხებში. ერთადერთი განმასხვავებელი ამ ორი სახის სესხს შორის არის ის, რომ ე.წ. ტიპიური სტუდენტურ სესხებზე, რომლებიც როგორც წესი გაიცემა შეღავათიანი პერიოდებით, წლიური საპროცენტო განაკვეთები შედარებით დაბალია. 2006-08 წლებში ბანკების მიერ ფორმირებული სტუდენტური სესხების პორტფელი შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა:

ცხრილი # 7.


ბანკების მიერ 2006-08 წლებში ფორმირებული სტუდენტური სესხების პორტფელის მაჩვენებლები

2006				2007			2008		
	ადგ. უ/სასწ.	უცხ. უ/სასწ	სულ მიმდ. წლის განმ.	ადგ. უ/სასწ.	უცხ. უ/სასწ	სულ მიმდ. წლის განმ.	ადგ. უ/სასწ.	უცხ. უ/სასწ.	სულ მიმდ. წლის განმ.
სახალხო ბანკი	-	-	-	1831309	9391	1840700	1370844	733973	2104817
ბაზისბანკი	36655		36655	283829	125000	408829	2264927	435211	2700138
თიბისი	406001	289050	695051	2250946	571870	2822816	1936744	668163	2604907
საქართვე. ბანკი	1700564	278728	1979292	2733228	238967	2972195	2902401	305426	3207827
სოსიეტე ქენერალ	1011133	437049	1448182	169774	169385	339159	64941	530869	595810
<b>ჯამი</b>	<b>3154353</b>	<b>1004827</b>	<b>4159180</b>	<b>7269086</b>	<b>1114613</b>	<b>8383699</b>	<b>8539857</b>	<b>2673642</b>	<b>11213499</b>

დიაგრამა # 3. ადგილობრივ უსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასაფინანსებლად გაცემული სტუდენტური სესხების მოცულობა 2006-08 წლებში (ლარი)




დიაგრამა # 4. უცხოეთის უ/საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ღირებულების დასაფინანსებლად გაცემული სტუდენტური სესხების მოცულობა 2006-08 წლებში(ლარი).



სამომხმარებლო სესხების ანალოგიურად საპროცენტო განაკვეთები სტუდენტურ სესხებზეც მნიშვნელოვან მატებას განიცდიდა გასული წლების განმავლობაში(წლიური 13-35%):

დიაგრამა #5. საპროცენტო განაკვეთების დინამიკა ბანკების მიერ გაცემულ სტუდენტურ სესხებზე (2006-08 წ.წ.)



VII. კომერციული ბანკების მიმდინარე და სამომავლო გეგმები სტუდენტური სესხების მომსახურების კუთხით

რაც შეეხება კომერციული ბანკების მიმდინარე და სამომავლო გეგმებს სტუდენტურ სესხებთან დაკავშირებით, ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა წლებისაგან, კერძოდ:

- a. 2009 წლისათვის ბანკების უმრავლესობა არ გეგმავს საკუთარი საკრედიტო რესურსების გამოყენებას სტუდენტური სესხების პორტფელის შესავსებად.
- b. საკუთარი საკრედიტო რესურსის ხარჯზე მხოლოდ რამოდენიმე ბანკი გეგმავს 2009 წელს სტუდენტური სესხების პორტფელის მომსახურებას. ამ მიზნით კომერციული ბანკების მიერ 2009 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ჯამური სასესხო რესურსი არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული რესურსის მოცულობა წლის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კონიუქტურის შესაბამისად.

c. ბანკების მიერ საკუთარი საკრედიტო რესურსით სტუდენტური სესხების მომსახურების გაწევის შემთხვევაში 2009 წელს დაგეგმილია წლიური საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის ზრდა 26-30%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტური სესხი პრაქტიკულად სხვა ტიპის სამომხმარებლო სესხების მახასიათებელს შეიძენს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო კომერციულ ბანკებისათვის გამოყოფს უფასო საკრედიტო რესურსს, ბანკების მიერ საკუთარი რესურსის დამატებით გაცემული სტუდენტური სესხების შეწონილი საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელი დაიკლებს და გაუტოლდება წლიურ 16-20%-ს.

d. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სტუდენტური სესხების გასაცემად გამოყოფს გრძელვადიან საკრედიტო რესურსს (5 წელზე მეტი ხნის ვადით), ასეთ შემთხვევაში ბანკები გეგმავენ ჯამურად დაახლოებით 4 000 000 ლარამდე გამოყოფას საკუთარი საკრედიტო რესურსების მობილიზების ხარჯზე.

e. სახელმწიფოს მიერ ბანკისათვის უფასო საკრედიტო რესურსის გამოყოფის შემთხვევაში ბანკების მიერ გაცემული სტუდენტურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაუტოლდება წლიურ 8-10%-ს.

f. თუ სახელმწიფოს მიერ ბანკებისათვის გამოყოფილი საკრედიტო რესურსზე საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური 7-8%(ეროვნული ბანკის სააღრიცხვო განაკვეთის ტოლი), შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ბანკისა და სახელმწიფოს მიერ ერთობლივი ფორმირებული საკრედიტო რესურსზე მიაღწევს წლიურ 16-20%-ს.

g. ასევე აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე ბანკის განმარტებით წლიურ 7-8%-ში საკრედიტო რესურსის გამოყოფის შემთხვევაში ამას რაიმე ხელშესახები ზეგავლენა კლიენტისათვის დაწესებულ საპროცენტო განაკვეთზე არ ექნება. შესაბამისად, ძირითადი ეფექტი იქნება არა საპროცენტო განაკვეთის შემცირებაში, არამედ გაცემული სესხების რაოდენობის ზრდაში, რადგან ბანკს საშუალება ექნება გარკვეულად შეარბილოს სესხის გაცემის კრიტერიუმები და უფრო მეტი სესხი გასცეს.

h. საკუთარი საკრედიტო რესურსით სტუდენტური სესხების მომსახურების შემთხვევაში ბანკები 2009 წელს გეგმავენ სესხის უზრუნველყოფის შემდეგ მოთხოვნების გამოყენებას:

- იპოთეკა
- მესამე პირის თავდებობა
- საკუთარი შემოსავლები
- მშობლების შემოსავლები
- გამონაკლისის სახით ვხვდებით განსხვავებულ მიდგომასაც: იგეგმება 2009 წლის შემოდგომიდან სტუდენტური სესხის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე.

სესხის უზრუნველყოფის განსხვავებულ მიდგომებს შორის გვხვდება აგრეთვე სხვა პირობებიც:

- 10 000 ლარამდე ძირითადად თავდებობები
- 10 000 ლარზე მეტი თანხის შემთხვევაში ძირითადად იპოთეკური უზრუნველყოფა

საკუთარი რესურსებით სტუდენტური სესხების პორტფელის მომსახურებისას ბანკებს ასევე გააჩნიათ დივერსიფიცირებული მიდგომა უზრუნველყოფის საკითხთან მიმართებით:

1. სტუდენტური სესხი საშელავათო პერიოდის გარეშე.
  - მსესხებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
    - არის საქართველოს მოქალაქე
    - არის ბანკის სახელფასო ან საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტი

(საკრედიტო ისტორიად განიხილება – თუ მსესხებელს აქვს მიმდინარე იპოთეკური, სამომხმარებლო სესხი, ფილიალის განვადება, ავტომანქანის განვადება ბანკში ან მინიმუმ 4 თვიანი დადებითი საკრედიტო ისტორია ბოლო 1 წლის მანძილზე სწრაფი დაკრედიტების პროდუქტებზე.)

- o აქვს შემოსავალი 300 ლარის ოდენობით

ანუ ამ შემთხვევაში რაიმე მოძრავი ან უძრავი ქონება უზრუნველყოფის სახით არ მოითხოვება.

## 2. სტუდენტური სესხი საშელავათო პერიოდით

- o უზრუნველყოფა - უძრავი ქონება - დასრულებული საცხოვრებელი, სავაჭრო ან საოფისე ფართი, რომელიც არის მსესხებლის ან მსესხებლის ოჯახის წევრის საკუთრება.
- o უზრუნველყოფა არ მოითხოვება - თუ მსესხებელი უკვე სარგებლობდა ამ პროდუქტით და ჯამური დავალიანება არ აღემატება 10 000 აშშ დოლარს.

როგორც წარმოდგენილი პოზიციები გვიჩვენებს, მიუხედავად მიმდინარე ეტაპზე არსებული უაღრესად რთული ლიკვიდურობის პირობებისა, ბანკები არ უარყოფენ სტუდენტური სესხების კუთხით სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე არსებული სპეციფიური ვითარების გათვალისწინებით აღნიშნული თანამშრომლობის დიაპაზონი მნიშვნელოვნად შეზღუდულია და რეალიზებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო სექტორის მხრიდან შემოთვალისწინებული იქნება საკრედიტო რესურსის გამოყოფის, მისაღები ვადიანობისა და საკრედიტო რისკის გაზიარების კონკრეტული პირობები.

## VIII. 2009 წელს სტუდენტურ სესხებზე მოსალოდნელი მოთხოვნის პროგნოზი

### სტუდენტების გადახდისუნარიანობის შეფასება

ბანკები მიუთითებენ, რომ გასულ წლებში სტუდენტური სესხების გაცემისას მთავარი მოქმედი სუბიექტები სწორედ მშობლები იყვნენ და არა სტუდენტები. ამის განმაპირობებელი ფაქტორი გახლდათ ის, რომ სტუდენტების გადამხდელუნარიანობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, ხოლო ბანკები ცდილობდნენ საკრედიტო მომსახურების თაობაზე გარიგება სწორედ გადამხდელუნარიან პირთან დაედოთ, რათა თავი აერიდებინათ თუნდაც უმნიშვნელო ხარისხის შესაძლო იურიდიულ გართულებისათვის. აღნიშნული ვითარება ერთგვარად სცილდება სტუდენტური სესხების კონცეპტუალურ სტანდარტს, თუმცა საბოლოო ჯამში სრულ შესაბამისობაშია სესხის მიზნობრიობის დაცვის მოთხოვნასთან იმ მცირე განმასხვავებელი ნიუანსის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის



ბენეფიციარს სტუდენტი წარმოადგენს, ხოლო საკრედიტო გარიგების სუბიექტი და პასუხისმგებელ მხარეს - სტუდენტის მშობელი. მიუხედავად აღნიშნული ტექნიკური თუ ნომინალური შეუსაბამობისა, მთლიანობაში სტუდენტური სესხის მომსახურების ფაქტორი მომხმარებლების მიერ უმრავლეს შემთხვევაში შეფასებული იყო როგორც უნიკალური შესაძლებლობა. საკრედიტო თანხა პირდაპირ ირიცხებოდა უ/საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე. აღნიშნული ინსტრუმენტი თავად სტუდენტს და მის ოჯახს საშუალებას აძლევდა გადაეღაზა მიმდინარე ლიკვიდურობის პრობლემა სამომავლო შემოსავლების პერსპექტივის ხარჯზე. მშობლები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ აღნიშნული სერვისის მიმართ და ძირითადად სწორედ ისინი წარმოადგენენ სტუდენტური სესხების გარიგებების სუბიექტებს. მშობელთა გარკვეული კატეგორია ამ მომსახურების გამოყენებით განიცდის ფსიქოლოგიურ კმაყოფილებას, ვინაიდან ძალუძს მშობლის მოვალეობის შესრულება და შვილისათვის მის სამომავლო კარიერაში უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - უ/განათლების საკითხის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ რიგი სესხებისა გრძელვადიანია - 5 წლიანი და მეტი ვადის - სტუდენტების მხრიდან არ იგრძნობა მზაობა ან თუნდაც გათვიცნობიერება იმ ფაქტისა, რომ მომავალში უ/განათლების დასრულების შემდეგ სწორედ ისინი დაფარავენ აღნიშნულ დავალიანებას საკუთრი შემოსავლების ხარჯზე და არა მშობლების შემოსავლების ხარჯზე.


სტუდენტები და მშობლები ნათლად აფიქსირებენ მათთვის სტუდენტური სესხების მზარდ მნიშვნელობას მიმდინარე ეტაპზე. აღნიშნულის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ დღეისათვის გასულ წლებთან შედარებით უფრო მეტად ეპარებათ ეჭვი უ/განათლების სასწავლო პროგრამების საფასურთან მიმართებით მათი მიმდინარე შემოსავლების საკმარისობაში. შესაბამისად, მათი მოლოდინით აუცილებელი იქნება სწავლის საფასურის დაფარვა სესხის გამოყენებით.

ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით მრავალი სტუდენტური სესხის დაფარვა პირდაპირ არის დაკავშირებული საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების ნაკადზე. 2009 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 51.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7.3 მლნ აშშ დოლარით, ანუ 12.5%-ით ნაკლებია 2008 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.<sup>7</sup> ბანკების მოსაზრებით აღნიშნული ნაკადების კლება შესაძლოა გარკვეულწილად უარყოფითად აისახოს სტუდენტური სესხების დაფარვის მაჩვენებლებზეც, თუმცა აღნიშნულ საფრთხეს ანეიტრალებს ის ფაქტორი, რომ ფულადი გზავნილების შემცირების მაჩვენებელი ძირითადად რუსეთიდან შემომავალ ნაკადებზე მოდის(2009 წლის იანვარში ფულადი გზავნილები რუსეთიდან 27 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა, გასული წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებული 35.6 მილიონ აშშ დოლართან შედარებით). ხოლო რაც შეეხება მთლიანობაში საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების მეშვეობით დაფარვად სტუდენტურ სესხებს, მათი ძირითადი რაოდენობა ევროპიდან და აშშ-დან საქართველოში

<sup>7</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, 2009 წლის 16 თებერვალი.

გადმორიცხულ ფულად ნაკადებზეა ორიენტირებული და შესაბამისად აღნიშნული რისკი ბანკების შეფასებით კრიტიკულ ზღვრად არ აღიქმება სტუდენტური სესხების დაფარვის თვალსაზრისით. ბანკების მონაცემებით მსესხებელთა დამოკიდებულება უცხოეთიდან ფულად გზავნილებზე პროპორციული მაჩვენებლით წარმოადგენს დასავლეთ ევროპიდან და აშშ-დან 70%-ს, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან მხოლოდ 25%-ს.

დიაგრამა # 6. სტუდენტური სესხების მომხმარებლებთან ასოცირებული ფულადი გზავნილების პროპორციული განაწილება.<sup>8</sup>



თავად სტუდენტები და მშობლები სტუდენტური სესხების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების აუცილებლობას ხსნიან ეკონომიკური განვითარების შეფერხებისა და ამ მიზეზით ბანკების მხრიდან შეზღუდული საკრედიტო საქმიანობის საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემებით. საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, გასესხების პროცედურების გამკაცრება და ვადაგადაცილებული და ჩამოწერილი სესხების მოცულობის ზრდა მნიშვნელოვან სირთულეებს შექმნის სტუდენტური სესხების სამომავლო მომსახურების თვალსაზრისით.


მშობლების მოსალოდნელი ქცევა გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებით

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ გასულ წლებში კომერციულმა ბანკებმა განახორციელეს სტუდენტური სესხების დაფინანსება საკუთარი საკრედიტო რესურსების გამოყენებით, ხოლო გასულ 2008 წელს უ/განათლების დაფინანსების სახელმწიფო პროგრამაში

<sup>8</sup> კომერციული ბანკების სტატისტიკა, 2009 წელი.

მონაწილეობა მიიღეს გამომდინარე ეკონომიკური განვითარების ზოგადი პოზიტიური ფონის გათვალისწინებით. 2009 წელს ბანკებს მნიშვნელოვნად განსხვავებულ გარემოში უწევთ ოპერირება, რაც შედეგია როგორც ომისშემდგომი პერიოდის სირთულეებისა, ასევე გლობალური საფინანსო კრიზისისაგან გამოწვეული სირთულეებისაც. კერძოდ, საოპერაციო გარემო მნიშვნელოვნად გართულებულია მიმდინარე ეტაპზე, რის შედეგადაც ბანკებმა 2008 წელი დაასრულეს 215 მლნ ლარის საოპერაციო ზარალით<sup>9</sup>:

დიაგრამა # 7. კომერციული ბანკების საოპერაციო შედეგები 2008 წელს.



შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე არსებული ეკონომიკური კონიუქტურა ბანკებს არ აძლევს საშუალებას განახორციელონ საქმელმწიფო სექტორთან ისეთი ტიპის თანამშრომლობა, როდესაც სახელმწიფო რესურსით დაფინანსებული ბანკი სტუდენტური სესხების პორტფელთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს საკუთარ თავზე იღებს.

აღნიშნული ვითრებიდან გამომდინარე მიმდინარე პერიოდში ყალიბდება შემდეგი სახის შესაძლებლობები:

- a. მიმდინარე ეტაპზე სტუდენტური სესხების პორტფელის მოცულობებისა და მთლიანობაში საკრედიტო რესურსების შემცირების ფონზე ბანკები შესაძლებლად მიიჩნევენ, რომ *სტუდენტების საერთო რაოდენობის დაახლოებით 0,5-1%-მა*

<sup>9</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, 2009 წელი.

*შესაძლებელია დროებით თავი დაანებოს სწავლას და დაელოდება ფინანსურად შედარებით ხელსაყრელ ვითარებას სწავლის გასაგრძელებლად.*

b. ასევე შესაძლო რისკად მოიაზრებენ ბანკები იმას, რომ შარშანდელისაგან განსხვავებით მიმდინარე წელს *სტუდენტური სესხების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვნად შემცირება, რაც უპირველეს ყოვლისა აისახება წლიური საპროცენტო განაკვეთების ზრდაში, შეაფერხებს სწავლის საფასურის გადახდას მათთვის, ვინც სწავლის საფასურის ანგარიშსწორებას სტუდენტური სესხების მეშვეობით გეგმავდა.* ამ კატეგორიის მასშტაბი კი შეფასებულია როგორც **სესხით მოსარგებლე სტუდენტების საერთო რაოდენობის დაახლოებით 25%.**

c. ასევე მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინებოდა კომერციული ბანკების მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული საკრედიტო ბარათების მომსახურება. მაგალითად, საქართველოს ბანკის „ორანჯ ბარათი,“ რის მეშვეობითაც მშობლები ავტომატურად მიღებულ სესხს მიმართავდნენ სწავლების საფასურის დასაფარავად („საქართველოს ბანკს“ ამ ეტაპზე მიმოქცევაში 250 ათასი „ორინჯ ბარათი“ აქვს. იგეგმება, რომ განვადების სერვისი საკრედიტო ბარათის მომსახურებით ჩანაცვლდეს, რაც უფრო იაფიგაა და მოსახერხებელიც. „საქართველოს ბანკი“ მომხმარებლისთვის ახალი ტიპის საკრედიტო ბარათის შეთავაზებასაც გეგმავს)


ანალოგიურ მომსახურებას სთავაზობდნენ გასულ წლებში კომერციული ბანკები თავიანთ მომხმარებლებს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტების სახით ( TBC CARD, Dream Card, ა.შ.) თუმცა ყოველი მათგანი ხასიათდებოდა ერთგვაროვნებით - საკრედიტო ბარათზე დაშვებული ლიმიტის გამოყენებით, მომხმარებელს საშუალება ეძლეოდა დაუბრკოლებლად გამოეტანა ნაღდი ფული სესხის სახით იმ მოცულობით, რაც დაახლოებით ასოცირდებოდა უ/განათლების სწავლების საფასურთან (დაახლოებით 1000 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა). 2009 წელს აღნიშნული პროდუქტი ძალზედ შეზღუდული მოცულობით მიეწოდება მომხმარებელს.

ვინაიდან ზემოხსენებული რესურსი უ/განათლების სწავლების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინებოდა, შესაბამისად საკრედიტო ბარათების მომსახურების გაუთვალისწინებლობა გარკვეულ უზუსტობას წარმოქმნის სტუდენტური სესხების სტატისტიკის წარმოების კუთხით.

d. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზმა ცხადყო მშობლების მიერ სწავლების საფასურის დაფარვის( როგორც სესხით ასევე ერთჯერადი დაფარვით) შესაძლებლობები პირდაპირ კავშირშია მათი შემოსავლების წყაროსთან. მშობლების შემოსავლების წყარო სხვადასხვა ხასიათისაა და ნაწილდება შემდეგი პროპორციით:

- სახელფასო შემოსავალი -75%
- საკუთრების გაქირავებით მიღებული შემოსავლები -10%
- სხვადასხვა - 15%

დიაგრამა # 8. სტუდენტური სესხებით დაინტერესებული შინამეურნეობების შემოსავლის წყაროები.



- e. ბანკების მონაცემების საფუძველზე მსესხებელთა 20%-ის ოჯახური მატერიალური მდგომარეობა ოდნავ გაუარესდა, რაც უკავშირდება მშობლების მიერ სამუშაოს დაკარგვას, მათი შემოსავლების კლებას და ა.შ.
- f. მიმდინარე ეტაპზე სტუდენტების საერთო რაოდენობის დაახლებით 3,5%-ს გააჩნია შემოსავლები სამუშაოს სახით( თვეში არაუმეტეს 250 ლარისა). თუმცა აღსანიშნავია, რომ სტუდენტების პირადი შემოსავლები იშვიათად არის გამოყენებული უ/განათლების სწავლების საფასურის დასაფარად. აღნიშნული საფასურის გადახდა ხორციელდებოდა მშობლების მიერ სტუდენტური სესხის გაფორმებით.
- g. იმ შემთხვევაში, თუ მშობლებმა მიმდინარე პერიოდში ვერ შეძლეს სტუდენტური ან სხვა სახის სამომხმარებლო სესხის მიღება, *სავარაუდოდ თვითდაფინანსებული ან ნაწილობრივი სახელმწიფო გრანტების მექანიზმით სტუდენტების დაახლოებით 20%-მა შესაძლებელია ვერ დაფაროს სწავლების საფასური.*
- h. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე *მსესხებლები გამოხატავენ მზადყოფნას გადაიხადონ სტუდენტური სესხის საფასური საპროცენტო განაკვეთი წლიური 15-18%-ის ოდენობით იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფის მოთხოვნები გამარტივდება.*
- i. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ სტუდენტების დაახლოებით 15% ვერ იხდის მიმდინარე გადასახადს და დღეის მდგომარეობით დავალიანება გააჩნია.
- j. მიმდინარე პერიოდში საპროცენტო განაკვეთის გაძვირების მიზეზით სტუდენტურ სესხებზე მოთხოვნის კლება მოსალოდნელი არ არის.
- k. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტუდენტური სესხების მომსახურების ადექვატური მიწოდება, რაც აუცილებელს ხდის გასაცემ სტუდენტურ სესხებზე

უზრუნველყოფის მოთხოვნის შემსუბუქებას. ბანკები აღნიშნულ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ ორი ფაქტორის გამო:

1. საკრედიტო რესურსების უკმარისობა
2. სტუდენტური სესხების პორტფელის მაღალი საკრედიტო რისკი

არსებულ ვითარებაში აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო სასესხო რესურსის გამოყოფა და აღნიშნულ რესურსზე საკრედიტო რისკის საკუთარ თავზე აღება სახელმწიფოს მიერ.

კვლევის ფარგლებში მომსახურების ელასტიკურობის თეორიის გამოყენებით შევეცადეთ განგვესაზღვრა უ/განათლების სწავლებისა და საკრედიტო რესურსების გაზრდილი საფასურის მოსალოდნელი ზემოქმედება მომხმარებლის არჩევანზე.

ელასტიკურობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიკროეკონომიკურ ფაქტორს, რომელიც გვეხმარება მომხმარებლის ქცევის განსაზღვრაში ცვლადების განსაზღვრულ ჯგუფებთან მიმართებით. მოთხოვნის კანონის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდების ფასის ცვლილება იწვევს მასზე მოთხოვნის რაოდენობის ცვლილებას. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მომსახურებაზე მოთხოვნის ელასტიკურობა პირდაპირ კავშირშია მოთხოვნის რაოდენობის ცვლილებასთან<sup>10</sup>. უ/განათლების სასწავლო პროგრამების მომსახურების ელასტიკურობა განისაზღვრება მომხმარებლის ქცევის საფუძველზე: თუ რამდენად ამცირებს მომხმარებელი მოთხოვნას ამგვარი მომსახურების მიღებაზე საფასურის გაზრდის შემთხვევაში.

ვინაიდან სტუდენტური სესხების მოთხოვნის ძირითად განმაპირობებელ სუბიექტებს სტუდენტების მშობლები წარმოადგენენ, უპირველეს ყოვლისა შესწავლილი იქნა მათი დამოკიდებულება უ/განათლების სწავლების საფასურისა და საკრედიტო რესურსის საპროცენტო განაკვეთის ზრდასთან მიმართებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ბანკების მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა როგორც მშობლებთან, ასევე სტუდენტურ ფოკუსურ ჯგუფებთან მუშაობისას.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტური სესხების მისაღებად პოტენციურმა მსესხებლების რაოდენობის დაახლოებით 70% და აგრეთვე ფოკუსური ჯგუფების წარმომადგენლების უმრავლესობა რომელიც წარმოდგენილი იყო, ძირითადად სტუდენტურ ესხებზე მომუშავე ბანკების საკრედიტო მენჯერების სახით, ადასტურებს, რომ უ/განათლების სწავლებას განიხილავენ როგორც აუცილებელი და პირველადი მოთხოვნის მომსახურებას. შესაბამისად, როგორც მშობლები(სტუდენტ შვილებთან მიმართებით), ასევე სტუდენტები ყველა ძალისხმევით შეეცდებიან, რომ შეძლონ ამგვარი მნიშვნელოვანი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

<sup>10</sup> Iowa College Student Aid Commission, Pilot Study of Debt Elasticity, November 2006

სწავლების საფასურისა და საპროცენტო განაკვეთის ცვლა სერიოზულ შემაფერხებელ გარემოებების წარმოქმნის, თუმცა საბოლოო ჯამში გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ ახდენს მომხმარებლის ქცევაზე. პოტენციური მომხმარებელი შეეცდება საოჯახო თუ პირადი ბიუჯეტის სტრუქტურაში სხვა ხარჯების შესაძლო შემცირების გზით მოახდინოს ოპტიმიზაცია და უ/განათლების სწავლების ხარჯები ამ გზით დაფაროს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომერციული ბანკების მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტური სესხების პორტფელის ფორმირება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბაზრის გაზრდილ მოთხოვნებთან. *ვინაიდან მიმდინარე ეტაპზე ბანკების სასესხო პოტენციალი მნიშვნელოვნად შეზღუდულია, შესაბამისად პრინციპულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს მიერ სასესხო რესურსის მიწოდება საბანკო სექტორისათვის.*

ამგვარად, უ/განათლების სწავლების მოთხოვნის დაკმაყოფილება საქართველოში განეკუთვნება საბაზისო მოთხოვნების კატეგორიას, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების შეფასებით არაელასტიკური ხასიათის მომსახურებას განეკუთვნება. შესაბამისად, აღნიშნული მომსახურების არაელასტიკური ხასიათის გათვალისწინებით მიმდინარე ეტაპზე სწავლების საფასურისა და საკრედიტო რესურსების საპროცენტო განაკვეთის ზრდა გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ მოახდენს მთლიანი მოთხოვნის მოცულობის ფორმირებაზე.

ამგვარად, უ/განათლების სწავლების საფასურის ზრდას პირველ რიგში მოჰყვება სხვა სახის დანახარჯებისა და მოხმარების შეზღუდვა. ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა განცხადებით განათლებაზე გაწეული დანახარჯი იზღუდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბაზისო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გასაწევი ხარჯები უკიდურესად შემცირდება და შეუძლებელი გახდება მათი შემდგომი შეკვეცა. *მომხმარებლის ამგვარი განწყობა შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არაელასტიკური ხასიათის მომსახურების საფასური( როგორც სწავლის, ასევე საკრედიტო რესურსის) მიაღწევს ისეთ ზღვარს, რისი გადახდაც მომხმარებლისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იქნება.*

## IX. კორპორატიული სექტორის დამოკიდებულება უ/განათლების საწავლო პროგრამების საქველმოქმედო დაფინანსებასთან მიმართებით.

კორპორატიული სექტორი უ/განათლების სისტემის დაფინანსებას ანხორციელებს ირიბი გზით სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების საფუძველზე. ამასთანავე კორპორატიულ სექტორს გააჩნია პირდაპირი მოტივაცია უ/საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო პროგრამების დასაფინანსებლად, რაც გამომდინარეობს კორპორატიული ინტერესებიდან და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას ესადაგება. აღნიშნული საჭიროების გათვალისწინებით კორპორატიული სექტორი ანხორციელებს როგორც საქველმოქმედო ასევე საკუთარი ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებულ პირდაპირ დაფინანსებებს. თუმცა მიმდინარე ვითარებამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ქართული კომპანიების

კორპორატიული ქველმოქმედების პრაქტიკაზე. გლობალური საფინანსო კრიზისისა და ომისშემდგომი ვითარებიდან გამომდინარე კორპორატიული სექტორი საქართველოში მთლიანობაში ბიზნეს-აქტივობების შემცირებას განიცდის. აღნიშნული ტენდენცია პირდაპირ აისახება კორპორატიული სექტორის მიერ განხორციელებულ ხარჯვით პოლიტიკაზეც როგორც საწარმოო საქმიანობის, ასევე ქველმოქმედების ფინანსირების ნაწილშიც.

შესაბამისად, ქველმოქმედების გასაწევად დაგეგმილი საფინანსო რესურსი კომპანიების ბიუჯეტებში პრაქტიკულად აღარ ფიგურირებს. მიუხედავად უარესად შეზღუდული ფინანსური მდგომარეობისა, საწარმოები მიმდინარე ეტაპზეც არ უარყოფენ საქველმოქმედო საქმიანობის იდეას და მთლიანობაში დადებით განწყობას ავლენენ უ/განათლების დასაფინანსებლად იმ დროისათვის, როდესაც სტაბილიზაციის ტენდენციები ნათლად გამოიკვეთება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა საწარმოთა დამოკიდებულება ზოგადად კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით და კონკრეტულად უ/განათლების ხარჯების საგრანტო დაფინანსებისათვის. იმისათვის, რათა ხელი შეეწყოს მსხვილ საწარმოთა მიერ ამგავრი ფინანსირების გასაწევად გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე შესწავლილ იქნა სახელმწიფოს მხრიდან იმ აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების საჭიროებაც, რის შემთხვევაში საწარმოთა მიერ ქველმოქმედების გაწევის ალბათობა გაიზრდება.

საბანკო სექტორი კორპორატიულ სექტორში ყველაზე მეტ საქველმოქმედო დაფინანსებას ანხორციელებს, მათ შორის უ/განათლების სასწავლო პროგრამების კუთხითაც. საქველმოქმედო საქმიანობის ბიუჯეტი წინასწარ იგეგმება ბანკების მართველი ორგანოების მიერ და იგი ასახავს საზოგადოებრივ პრიორიტეტებს, მათ შორის უ/საგანმანათლებლო პროგრამებს. ბანკების მიერ გაწეული საქველმოქმედო საქმიანობა სცილდება ერთჯერადი ინიციატივების სტატუსს და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ცხრილი # 8.

სტუდენტური სესხებზე მომუშავე კომერციული ბანკების მიერ გასული წლების განმავლობაში განხორციელებული უ/განათლების სწავლების საფასურის საქველმოქმედო დაფინანსება(ლარი)<sup>11</sup>

	2006	2007	2008	ჯამი	შენიშვნა
თიბისი	40 000	82 000	82 000	204 000	
ბაზისბანკი	29 000	29 000	17 000	75 000	
საქართველოს ბანკი	59832	284509	342053	430335	

<sup>11</sup> კომერციული ბანკების მონაცემები, 2009 წელი.



რესპუბლიკა	30 000	30 000	40 000	100 000	-
სახალხო ბანკი	-	-	-	-	-
ჯამი	128832	313 509	441 053	-	-

აღსანიშნავია, რომ ბანკები უ/განათლების სწავლების დაფინანსებისას ხელმძღვანელობენ სხვადასხვა სამოტივაციო ფაქტორებით:

- ბანკი რესპუბლიკა

ბანკი ძირითად აქცენტს თანამშრომლების აკადემიური მომზადებისა და საკვალიფიკაციო უნარების განვითარებაზე აკეთებს. ბანკის დაფინანსების საფუძველზე მათ საშუალება ეძლევათ გაიარონ სამაგისტრო სასწავლო პროგრამები, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად უწყობს მათ ხელს კარიერულ წინსვლაში. ბანკი თანამშრომლების სწავლებას აფინანსებს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის უ/სასწავლებლებში. საქართველოში ბანკი ძირითადად კავკასიის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ გრენობლის უნივერსიტეტის სამაგისტრო კურსს აფინანსებს.

- თიბისი ბანკი

„თიბისი“ ბანკის მიერ საქველმოქმედო დაფინანსება გასულ წლებში ძირითადად განხორციელდა სოციალურად დაუცველი პირების მიერ ბანკში შემოსული თხოვნების საფუძველზე. აღნიშნული ფინანსირება აგრეთვე მოიცავს ორ საქველმოქმედო პროგრამას რომელიც თიბისი ბანკმა განახორციელა უ/განათლების სფეროში:

- 2005 წელს თიბისი ბანკმა აიღო ვალდებულება სრულად დააფინანსოს რამოდენიმე სტუდენტის ESM ბიზნეს სკოლის ბაკალავრიატში სტუდენტის სწავლა. აღნიშნული პიროვნებები გამოვლინდა ESM ბიზნეს სკოლის მიერ სხვა სოციალურად დაუცველ სტუდენტებს შორის.

- ბაზისბანკი

„ბაზისბანკის“ მიერ 2007, 2008 , 2009 წლების განმავლობაში დაფინანსდა 17 მაგისტრის სწავლება. დაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 51 ათას ლარს. 2006-07 წლების განმავლობაში „ბაზისბანკი“ საბაკალავრო პროგრამაზე მოსწავლე საუკეთესო 20 სტუდენტზე გასცემდა სახელობით სტიპენდიებს. დაფინანსების ჯამური თანხა შეადგენდა 24 ათას ლარს.

- 2006-07 წლებში სს „ბანკი ქართუს“ მიერ დაფინანსდა მოკლევადიანი სატრენინგო სწავლების საქველმოქმედო დაფინანსება 18208 ლარის ოდენობით, ხოლო 2008 წელს როგორც სატრენინგო, ასევე უმაღლესი აკადემიური სწავლების პროგრამები 82493 ლარის ოდენობით.

- საქართველოს ბანკმა 2006-08 წლებში დააფინანსა 0,5 მლნ ლარის მოცულობით 40 სტუდენტის სწავლის საფასური სხვადასხვა აკადემიური სასწავლო პროგრამაზე.

მიმდინარე ეტაპზე კომერციული ბანკების( სტუდენტური სესხების პროგრამაში მონაწილე და ასევე არამონაწილე ბანკები) მიერ ყოველწლიურად განხორციელებული უ/განათლების

აკადემიური პროგრამების ჯამური საგრანტო დაფინანსება დაახლოებით 0,3-0,6 მლნ ლარის ფარგლებში მერყობს.

რაც შეეხება პროფესიული ტრეინინგების დაფინანსებას, ბანკები საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე სრულად უზრუნველყოფენ აღნიშნულ დაფინანსებას. მოკლევადიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების ორგანიზება მუდმივ ხასიათს ატარებს და ისინი ტარდება როგორც საბანკო ოფისებში, აგრეთვე ტრეინინგების პროვაიდერების მიერ ორგანიზებულ ადგილებში და ატარებს როგორც მოკლევადიან( ორ კვირამდე), ასევე, გრძელვადიან(რამოდენიმე თვემდე) ხასიათს.

საქველმოქმედო საქმიანობების და პროგრამების განხორციელებას კორპორატიული სექტორი კრიზისამდელ პერიოდში მეტ-ნაკლებად რეგულარულად ანხორციელებდა. მსხვილ კომპანიებში ამგვარი ქველმოქმედება წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე ხორციელდებოდა, თუმცა უსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების საქველმოქმედო დაფინანსება საკმაოდ იშვიათ მოვლენებს განეკუთვნებოდა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ეკოლოგიური და სოციალური სფეროს საქველმოქმედო დაფინანსებაზე. რაც შეეხება მოკლევადიან საკვალიფიკაციო პროგრამების დაფინანსებას, აქაც, მსგავსად საბანკო სექტორისა ყურადღება ექცევა კომპანიების საჭიროებებს და შესაბამისად ფინანსირება საჭიროებაზე ორიენტირებული სატრეინინგო პროგრამები. სატრეინინგო ხარჯები პრაქტიკულად მუდმივად ფიგურირებს ბანკების წლიურ ბიუჯეტებში.

ბანკების მიერ სტუდენტების საზღვარგარეთ სასწავლებლად საქველმოქმედო დაფინანსების ფორმა დღეისათვის თითქმის არ გამოიყენება. ბანკები ძირითადად აფინანსებენ საკუთარი საშუალო და მაღალი იერარქიის მენეჯმენტის ან აქციონერების სწავლებას საზღვარგარეთ.

ინდივიდუალური და კორპორატიული ქველმოქმედების წარმატებულობა მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ხელშემწყობ საგადასახადო სიტემასა და საზოგადოებრივი სოლიდარობის ტრადიციებზე. კორპორატიულ სექტორს საშუალება უნდა ჰქონდეს განახორციელოს პირდაპირი კონტრიბუციები უ/განათლების დასაფინანსებლად, რაც განთავისუფლდება საგადასახადო დატვირთვისგან.

მიმდინარე ეტაპზე არსებული პრობლემური ეკონომიკური კონიუქტურის ფონზე იმისათვის, რათა საწარმოებმა(როგორც მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა) შესძლონ უ/განათლების სასწავლო პროგრამების საქველმოქმედო დასაფინანსებელი რესურსის გამოყოფა, აუცილებელია მათთვის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება:

აღნიშნული უპირველეს ყოვლისა გულისხმობს საგადასახადო სტიმულების შემუშავებას, რაც საშუალებას მისცემს საწარმოებს უ/განათლების დაფინანსება განახორციელონ საწარმოს ერთობლივი შემოსავლებიდან. შესაბამისად, განათლების დასაფინანსებლად გაღებული აღნიშნული კონტრიბუცია უნდა ჩაითვალოს საწარმოს ხარჯად და უნდა გამოაკლდეს მის

*ერთობლივ შემოსავალს. ამ შემთხვევაში საწარმოთა მოტივაცია იზრდება საქველმოქმედო დაფინანსების განსახორციელებლად.*

როგორც კვლევის თვისობრივი მეთოდით მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, მცირე საწარმოთა წარმომადგენლები საფინანსო სტაბილიზაციის მიღწევისთანავე დააფინანსებდნენ მათთვის ნაცნობი(ნათესავები, ახლობლები) სტუდენტების სწავლების საფასურს.

რაც შეეხება საშუალო საწარმოებს(წლიური ბრუნვა წელიწადში არანაკლებ 500 000 ლარისა), მათი მენეჯერების განცხადებით, დასაფინანსებელი კანდიდატების შერჩევისას უპირატესობას გამჭვირვალე პროცედურების გამოყენებას მიანიჭებდნენ და ისინი თავს შეიკავებდნენ ნაცნობ-მეგობრების სწავლის საფასურის გადახდისაგან.

*ორივე შემთხვევაში მენეჯერები აუცილებელ პირობად აყალიბებენ სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სახის( მათ შორის საგადასახადო) სტიმულების დაწესებას, სხვა შემთხვევაში ისინი საკითხის კონკრეტიზაციისაგან თავს იკავებენ.*

ამასთანავე, როგორც თვისობრივი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, სახელმწიფო სექტორის მხრიდან ანგარიშგასაწევი სტიმულირების მექანიზმების დანერგვის შემთხვევაში, უ/განათლების ხარჯების ფინანსირების პრაქტიკას მომავალში ერჯერადი საქველმოქმედო აქციების ხასიათი აღარ ექნება და კერძო სექტორის მხრიდან მნიშვნელოვანი თანამონაწილეობის ხასიათი შეიძლება შეიძინოს. რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მცირე და საშუალო საწარმოთა შესაძლებლობების იდენტიფიცირება უ/განათლების სფეროში საქველმოქმედო ფინანსირების მზაობის მიახლოებითი შეფასებისათვის. როგორც გამოკითხული კომპანიების პასუხების (დამსაქმებელთ ასოციაციის წევრი 34 კომპანია) ანალიზი ცხადყოფს, სტიმულირების მექანიზმების შემოღების შემთხვევაში:

- მცირე საწარმო, რომლის წლიური შემოსავალი აღწევს არანაკლებ 200 000 ლარს, წარმოადგენს პოტენციურ დამფინანსებელს ერთი სტუდენტის სწავლის საფასური ფარგლებში.
- 500 000 მილიონი წლიური შემოსავლის მქონე საწარმო ზოგადად 2000-3000 ლარის დაფინანსებას გეგმავს წელიწადში.

#### ცხრილი # 9.

საწარმოთა პოტენციური უ/განათლების სწავლების საფასურის საქველმოქმედო დაფინანსებისათვის (სახელმწიფოს მიერ საგადასახადო სტიმულირების მექანიზმების დანერგვის შემთხვევაში)

საწარმოს წლიური ბრუნვა	უ/განათლების სწავლების საფასურის დაფინანსების პოტენციალი	დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობა	დასაფინანსებელი სტუდენტების შერჩევის პრინციპი
200 000 ლარი	1500 ლარი	1	ნაცნობების წრიდან
500 000 ლარი	3000 ლარი	2	გამჭვირვალე პროცესით
1 000 000 ლარი	5000 ლარი	3	გამჭვირვალე პროცესით

კომპანიების მესაკუთრეთა მიერ წარმოდგენილი იქნა სტიმულირების კიდევ უფრო ეფექტური ვერსია, რაც მათ საშუალებას მისცემს ხელი შეუწყონ უ/განათლების ხელმისაწვდომობას სტუდენტური სესხის გაცემის გზით. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ *კომპანიას, რომელმაც გასცა სტუდენტური სესხი, მიეცეს საშუალება აღნიშნული თანხა დააკვალიფიციროს როგორც ხარჯი, რომელიც მოაკლდება აღნიშნული კომპანიის ერთობლივ შემოსავალს.*

როგორც აგრეთვე კომპანიებისა და გამოკითხულ სტუდენტებისა მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, კერძო სექტორის მიერ უ/საგანმანათლებლო პროგრამების საქველმოქმედო დაფინანსება მთლიანობაში დღეის მდგომარეობით არ აღემატება სწავლების ჯამური საფასურის 1,3%-ს.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორების თანამშრომლობის კუთხით საინტერესო პერსპექტივებს სახავს ე.წ. *ინსტიტუციონალური ფონდების* დაფუძნების იდეა. აღნიშნული იდეა გულისხმობს მექანიზმს, რომელიც თავად უ/საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს საშუალებას მოიზიდონ საფინანსო რესურსები, რასაც მოგვიანებით მიმართავენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხელშესაწყობად, მათ შორის უ/განათლების სასწავლო პროგრამების საფასურისა და სტიპენდიების დასაფინანსებლად. გარდა საქველმოქმედო ფინანსირებისა, ინსტიტუციური ფონდები აგრეთვე განახორციელებენ საფინანსო რესურსის კომერციულ ინვესტირებას მაღალი უკუგების მისაღებად. ინსტიტუციური ფონდი წარმოადგენს სტრუქტურას, რომლის უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება უ/საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის საჩუქრის სახით გადაცემული გადაცემული საფინანსო რესურსისა და ქონების განკარგვა.

შესაბამისად, ინსტიტუციური ფონდის მიერ გენერირებული შემოსავლები შესაძლებელია მიმართულ იქნეს უ/საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის საგრანტო დაფინანსებისათვის.

## X. დასკვნა

კომერციული ბანკების ხედვის თანახმად სახელმწიფო და კერძო სექტორების(ბანკების) ინსტიტუციონალური ინტერესების თანხვედნა პროგრამის განხორციელების აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს და შესაბამისად ერთობლივი პროექტის იდეა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპს:

- a. სახელმწიფოს მიზნის რეალიზება სტუდენტებისათვის სესხის ხელმისაწვდომობისა და საკრედიტო პორტფელის ზრდის თვალსაზრისით
- b. კომერციული ბანკის მიზნის რეალიზება შემოსავლის მიღების თვალსაზრისით

დღეისათვის კომერციული ბანკების სასესხო რესურსის პოტენციალი შეზღუდულია, რაც პირდაპირ აისახება სტუდენტურ სესხების მომსახურების დინამიკაზე. აღნიშნული აქტივობისადმი დამოკიდებულებამ კორექტივები განიცადა როგორც გლობალური საფინანსო კრიზისის, ასევე ომისშემდგომი პერიოდის სირთულეებიდან გამომდინარე. თუმცა, ბანკები ძირითადად აფიქსირებენ სტუდენტური სესხების მომსახურების გაგრძელების განწყობას. დღეისათვის ამ მიმართებით კომერციული ბანკების სამოტივაციო ფაქტორებს განეკუთვნება:

- a. კომერციული ეფექტი
- b. ბრენდის რეპუტაციის ფაქტორი

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა კომერციული ბანკების დამოკიდებულება მთლიანობაში სტუდენტური სესხების როგორც მიმდინარე პორტფელის ფორმირების, აგრეთვე სამომავლო გეგმების კუთხით. გაანალიზებული იქნა კომერციული ბანკების დამოკიდებულება კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის იდეასთან მიმართებით.

მიმდინარე ეტაპზე სტუდენტურ სესხებს ემსახურებიან რიგი კომერციული ბანკები. სტუდენტური სესხების მომსახურების პარამეტრები გასული წლების განმავლობაში განსხვავებული იყო, თუმცა ბანკებს ხშირად უხდებოდათ სასესხო პროცედურებისა და მოთხოვნების ლიბერალიზაცია. სესხემის გაცემის სპეციფიკა შემდეგია: სტუდენტური სესხების გაცემისას კომერციული ბანკები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად დაეცვათ რისკების მინიმიზაციის პრინციპი. საკუთარი სასესხო რესურსის გაცემისას აღნიშნული პრინციპი ნაწილობრივ გაითვალისწინებოდა. რაც შეეხება სახელმწიფო რესურსის მომსახურებას, გასული პერიოდის მანძილზე სტუდენტური სესხების პორტფელი ფორმირდებოდა ძირითადად უზრუნველყოფის გარეშე, რაც საბოლოო ჯამში ზრდიდა კომერციული ბანკების სტუდენტური სესხების საკრედიტო პორტფელის რისკს.

*შესაბამისად:*

⇒ სტუდენტური სესხის გაცემა დაკავშირებულია მაღალ რისკებთან, რადგან ძირითად შემთხვევაში, იგი გაიცემა უზრუნველყოფის (ზოგჯერ თავდებობის) გარეშე, აქვს

საშეღავათო პერიოდი და დაბალი საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, სტუდენტური სესხი გრძელვადიანია.

⇒ ზემოაღნიშნული პირობების გამო, სტუდენტური სესხი ბანკისთვის არის საკმაოდ არარენტაბელური და სარისკო. სასურველია სესხი გაიცეს მინიმუმ თავდებობის ელემენტი გამოყენებით მაინც. ძალზედ მნიშვნელოვანი იქნებოდა თავდებობის მექანიზმში სახელმწიფოს თანამონაწილეობა.

## სტუდენტურ სესხების პორტფელთან მიმართებაში ბანკების აქტივობის შეფასება 2009 -10 წლებში

⇒ იმ შემთხვევაში, თუ გაცემის პირობები იქნება უცვლელი, მოსალოდნელია სტუდენტური სესხების პორტფელის მოცულობების კლება.

⇒ საპროცენტო განაკვეთის ოდენობა სავარაუდოდ გაიზრდება და მიაღწევს წლიურ 35-40%-ის მაჩვენებელს.

პოტენციური მომხმარებლის მთლიანი მოთხოვნის მოცულობა არ განიცდის კორექტირებას ენდოგენური(ომის შემდგომი ვითარება) და ეგზოგენური(გლობალური საფინანსო კრიზისის შედეგად წარმოქმნილი რეცესიული ტენდენციები) ფაქტორების ზემოქმედებით. ალბათობის მაღალი ხარისხით შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი მოთხოვნა სტუდენტურ სესხებზე არ შემცირდება. აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფილი იქნება სამომავლო გადახდების მექანიზმით(მშობლები, სტუდენტები). შესაბამისად აუცილებელი იქნება სტუდენტური სესხების მიწოდების დაგეგმვა და უზრუნველყოფა იმგვარად, რომ იგი მომხმარებლების შესაძლებლობებზე იქნეს მორგებული. მიმდინარე ეტაპზე სულ უფრო ნაკლები რჩება სტუდენტური სესხის მომხმარებელი, რომელიც უზრუნველყოფის მატერიალიზებულ საშუალებებს ფლობს(უძრავი ქონება, მატერიალური ფასეულობები და ა.შ.). ბანკების მონაცემებით 2007-08 წლებში ბანკების მიერ მაქსიმალურად იქნენ მოზიდულნი ისეთი მომხმარებლები, ვისი მოთხოვნაც გამაგრებული იყო ადექვატური უზრუნველყოფის საშუალებით. დღეისათვის სტუდენტური სესხების მრავალრიცხოვან პოტენციურ მომხმარებელში ძალზედ მცირეა რაოდენობა იმ კატეგორიისა, რომელიც ფლობს უზრუნველყოფის მატერიალურ საშუალებებს, ამდენად ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხს, რომ სესხის გაცემის პროცედურა გაიოლდეს და უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული იქნეს მომხმარებლის სამომავლო შემოსავლები.

მიმდინარე ეტაპზე მიუხედავად საკრედიტო რესურსის გაძვირებისა, უ/განათლების სწავლების, როგორც არაელასტიკური ხასიათის *მომსახურების საფასურის დასაფარად მომხმარებელი მზადყოფნას გამოხატავს. ამგვარი მზადყოფნა ერთი მნიშვნელოვანი პირობით ხასიათდება:* მომხმარებელი სესხის უზრუნველსაყოფად სესხის გამცემს სთავაზობს მხოლოდ სამომავლო შემოსავლებს. აღნიშნული წინაპირობების გაწონასწორება მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით შესაძლებელი იქნება მხოლოდ *სახელმწიფოს მიერ სასესხო რესურსის*

გამოყოფის შემთხვევაში, რომლის საკრედიტო რისკს იკისრებს თავად სახელმწიფო და არა კომერციული ბანკი.

**წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია სტუდენტთა ფინანსური დავალიანების ვითარების ტრანსფორმირება დაბალი რისკის სტატუსიდან (დღეის მდგომარეობით) საყურადღებო დავალიანების სტატუსში (მომავალ სასწავლო წელს).**

მიმდინარე ეტაპზე გამოიკვეთა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის სტუდენტური სესხების პორტფელის მომსახურების კუთხით თანამშრომლობის სავარაუდო პირობები:

- ⇒ ბანკებისათვის მისაღები საკრედიტო რესურსის სასურველი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს არაუმეტეს **ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთისა<sup>12</sup>**.
- ⇒ ბანკებს გააჩნიათ მზადყოფნა მოემსახურონ სახელმწიფოს მიერ სტუდენტური სესხების პორტფელის მომსახურებისათვის გამოსაყოფ საკრედიტო რესურსს **ჯამური მოცულობით არანაკლებ 6 000 000 ლარისა**( სახელმწიფოს მიერ საკუთარ რესურსზე საკრედიტო რისკის გაზიარების, რეკომენდირებული ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით).
- ⇒ სახელმწიფოს მიერ საკრედიტო რესურსის გამოყოფის შემთხვევაში ბანკებისათვის სასურველი ვადიანობის პირობები წარმოადგენს არანაკლებ **5 წელს**.
- ⇒ სახელმწიფოს მხრიდან წინამდებარე პირობების ჩამოყალიბების შენთხვევაში ბანკების მიერ შესაძლო მობილიზებული თანაზიარი საკრედიტო რესურსის **ჯამური მოცულობა გაუტოლდება დაახლოებით 4 000 000 ლარს**( რეკომენდირებული უზრუნველყოფის, ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით)

*რა შემთხვევაში იქნება მომავალში შესაძლებელი კომერციული ბანკების ეფექტური თანამშრომლობა სახელმწიფოსთან სტუდენტური სესხების პორტფელის ერთობლივი ფორმირებისათვის?*

კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის განსანვიტარებლად ბანკები აუცილებელ პირობად მოიაზრებენ სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი სასესხო რესურსის რისკის გაზიარებას თვით სახელმწიფოს მიერ. წინა წლებისაგან განსხვავებით მიმდინარე ეტაპზე ბანკები საკრედიტო რისკს მხოლოდ საკუთარ სახსრებთან მიმართებით მოიაზრებენ.

კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის შესაძლებლობების კვლევისას კომერციული ბანკების მხრიდან გამოიკვეთა თანამშრომლობის სასურველი პარამეტრები:

<sup>12</sup> 10.03.2009-ის მდგომარეობით ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი შეადგენს წლიურ 7%-ს.

- a. სასურველია სესხი მთლიანად ფარავდეს სწავლების ღირებულებას
- b. სესხები გაიცეს როგორც უმაღლეს აკადემიურ, ასევე უმაღლეს პროფესიული სასწავლო პროგრამების დასაფინანსებლად.
- c. საპროცენტო სარგებლის გადახდა წარმოებდეს სესხის გაცემის საწყისი პერიოდიდანვე
- d. საშელავათო პერიოდის დაწესება საპროცენტო გადასახდელთან მიმართებით მიმდინარე ეტაპზე ბანკებს მიუღებლად მიაჩნიათ.
- e. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ რესურსებზე საკრედიტო რისკს თავად სახელმწიფო იკისრებს, ბანკები მოელიან სასესხო პირობების გაუმჯობესებას და შესაბამისად სტუდენტურ სესხებზე მოთხოვნის გაზრდას.

ბანკებისათვის სტუდენტურ სესხებზე მოტივაციის გასაზრდელად საჭიროა მეტი სტიმულების შემუშავება, ვინაიდან მიმდინარე ეტაპზე ბანკებისათვის საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული რესურსების უკუგების თვალსაზრისით უფრო მიმზიდველი სცენარები არსებობს, ვიდრე სტუდენტური სესხების პორტფელის ფორმირება.

ბანკების პოზიციის შეჯამების შედეგად ვიღებთ შემდეგ სურათს - კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის გზით სტუდენტური სესხების ხელმისაწვდომობის ზრდა მიიღწევა:

- a. სახელმწიფოს მხრიდან გრძელვადიანი სტუდენტური სასესხო რესურსის გამოყოფით.
- b. კომერციული ბანკებისათვის ისეთი წინადადების ჩამოყალიბებით, რაც უზრუნველყოფს მათთვის მოგების (გამომდინარე პროდუქტის მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან მოგების მინიმალური მარჟაც მისაღები იქნება) მიღებას.
- c. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სასესხო რესურსის რისკი უნდა გაწიოს თავად სახელმწიფომ.
- d. სესხები გაიცეს გრძელი ვადით ( მინიმუმ 5-10 წლით საბაკალავრო პროგრამებისა და 3-5 წლით სამაგისტრო პროგრამების დასაფინანსებლად)

კვლევის მიზანს არ წარმოადგენს უმაღლეს განათლებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯების შემცირება, თუმცა, ფინანსირების სწორი პრინციპების დანერგვის შემთხვევაში აღნიშნული ეფექტის მიღწევა სრულიად შესაძლებელია. გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო რესურსების რაციონალიზაციის და უ/განათლების დაფინანსების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც *ქველმოქმედის* სტატუსიდან *კრედიტორის* სტატუსში გადასვლა.



## XI. რეკომენდაციები

2005-08 წლების განმავლობაში სახელმწიფო ანხორციელებდა უ/განათლების სწავლების საფასურის ჯამური მაჩვენებლის დაახლოებით 35%-ის (ოთხი წლის საშუალო მაჩვენებელი) საგრანტო დაფინანსებას. დარჩენილი ნაწილი იფარებოდა თვითდაფინანსების ხარჯზე, რაც გულისხმობდა შინამეურნეობების დანაზოგების, საბანკო სესხების( სტუდენტური სესხები, საკრედიტო ბარათები, ა.შ.) და საქველმოქმედო დაფინანსების წყაროებს. 2009-10 სასწავლო წელს საბაკალავრო და უ/პროფესიული განათლების სწავლების საფასურის დაფინანსებისათვის საჭირო მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 78 მლნ ლარამდე. ასევე იზრდება სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების მოცულობა დაახლოებით 29,5 მლნ ლარამდე. საჭირო თვითდაფინანსების წილი მიაღწევს 56,5%-ს, რაც დაახლოებით 44 მლნ ლარს ტოლია. თუ აღნიშნულ მაჩვენებელს შევამცირებთ წინა წლებში ჩამოყალიბებულ თვითდაფინანსების ბუნებრივ წონასწორობს მაჩვენებლით(დაახ. 18 მლნ ლარი), მივიღებთ დარჩენილი თვითდაფინანსებელი მოცულობის მაჩვენებელს, რაც დაახლოებით 26 მლნ ლარის ტოლია. სახელმწიფო და კერძო სექტორების ძალისხმევა ფინანსირების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად სწორედ აღნიშნული მიხლოებითი მაჩვენებლის დასაფარავად უნდა იქნეს მიმართული. აღნიშნული დაფინანსების თეორიულ წყაროს წარმოადგენს:

1. შინამეურნეობების დანაზოგები
2. სტუდენტური სესხები
3. კორპორატიული საქველმოქმედო დაფინანსება
4. ინსტიტუციური ფონდების ფორმირება და მათ მიერ აღნიშნული ფინანსირების განხორციელება

მომავალი სასწავლო წელი, როგორც ომისშემდგომი და აგრეთვე გლობალური და რეგიონალური საფინანსო კრიზისის ფაზა, ხასიათდება რისკ ფაქტორების მაღალი შემცველობით როგორც ზოგადად სხვადასხვა სახის ხარჯების, ასევე კონკრეტულად უ/განათლების სწავლების საფასურის დაფარვასთან მიმართებით. ფოკუსური ჯგუფებისა და კომერციული ბანკების საკრედიტო დეპარტამენტების ინფორმაციით მოსალოდნელია ისეთი კატეგორიის სუბიექტების რიცხვის მატება, ვინც ფინანსური პრობლემების გამო სწავლების საფასურის დასაფარად ფინანსური რესურსების მობილიზებას ვერ შეძლებს.

სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის იდეა(პერსპექტივა) მიმდინარე ეტაპზე გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამგვარი თავისებურებები განპირობებულია იმ გარემოს სპეციფიკით, რაც ორი ძირითადი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა:

1. ომისშემდგომი ეკონომიკა
2. გლობალური საფინანსო კრიზისი

აღნიშნული განმაპირობებელი ფაქტორების ზეგავლენით დღეისათვის არამართებულია მსჯელობა სტუდენტური სესხებისა და საქველმოქმედო დაფინანსების სფეროში სახელმწიფო და კერძო სექტორების მასშტაბური თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ.

სავარაუდოდ 2009-12 წლები ქართული ეკონომიკის რეაბილიტაციის პერიოდი იქნება, რაც მოითხოვს ყველა სახის კორპორაციული რესურსის მობილიზებას კრიზისის დასაძლევად. შესაბამისად, კორპორატიულ სექტორს ქველმოქმედების არეალი ცალსახად შეეზღუდება.

ამდენად, მიმდინარე პერიოდში უფრო მართებულია მსჯელობა არა სახელმწიფო და კერძო სექტორების სტაბილურ თანამშრომლობაზე, არამედ კერძო სექტორის კომპლემენტარულ როლზე სტუდენტური სესხებისა და საგრანტო დაფინანსების ხელშეწყობის მექანიზმში.

მიმდინარე ეტაპზე საბანკო სექტორსა და ზოგადად კორპორატიულ სფეროში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით არამართებული იქნებოდა სახელმწიფო და კერძო სექტორების თანაბარწილოვანი თანამშრომლობის იდეის კონცეპტუალიზაცია. აღნიშნული მხოლოდ თეორიული მოსაზრება იქნებოდა, რაც პრაქტიკულ საფუძველს მოკლებულია და შესაბამისად უახლოეს მომავალში გამოავლენდა თავს, როგორც არასიცოცხლისუნარიანი იდეა. შესაბამისად, არსებული მოცემულობების გათვალისწინებით ყალიბდება კერძო სექტორის რაციონალური აქტივობის(ჩართულობის) იდეა, რაც ითვალისწინებს მიმდინარე ეტაპზე კორპორატიული სექტორის განკარგულებაში არსებული ძალზედ შეზღუდული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას საქველმოქმედო დაფინანსების მიმართულებით და ჩართულობის ხარისხისა და მასშტაბის საფეხურებრივ მატებას ეკონომიკური გარემოს ოპტიმიზაციის პარალელურად.

კვლევის პროცესში მიღებული მასალების საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომერციული ბანკები და მთლიანობაში კორპორატიული სექტორი მიუხედავად გლობალური მასშტაბით მიმდინარე კრიზისისა, სურვილს გამოთქვავენ სამომავლოდ ხელი შეუწყონ უ/განათლების დაფინანსებას, რისთვისაც განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომლის რეალიზაციის შემთხვევაშიც აღნიშნული დაფინანსების განხორციელება შესაძლებლად მიაჩნიათ.

*კომერციული ბანკების წინადადებებები კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად:*

კომერციული ბანკების გააჩნიათ სტუდენტური სესხების საპროცენტო განაკვეთის შესამცირებლად სახელმწიფოსთან თანამშრომლობის რამოდენიმე ალტერნატიული მექანიზმი:

- a. სახელმწიფო გამოუყოფს ბანკებს უფასო რესურსს და შეუთანხმდება აღნიშნული სასესხო რესურსის მომსახურებაზე სტუდენტური სესხის მიზნობრიობის დაცვით. უფასო სასესხო რესურსი საშუალებას მისცემს ბანკებს გასცენ სტუდენტური სესხები საბაზრო განაკვეთთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით.
- b. სახელმწიფო გამოუყოფს გრძელვადიან უპროცენტო სესხს. აღნიშნულ რესურსს კომერციული ბანკები ამატებენ ექვივალენტური (ან ნახევარი) მოცულობის საკუთარ რესურსს და გასცემენ სტუდენტური სესხებს შეწონილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

სახელმწიფო იღებს რისკს საკუთარ სასესხო რესურსზე, ხოლო კომერციული ბანკი კი საკუთარზე.

c. ბანკები გასცემენ სტუდენტურ სესხს საბაზროზე შედარებით დაბალ ფასში და განათლების სამინისტრო ანხორციელებს საპროცენტო სხვაობის სუბსიდირებას.

**ცხრილი # 10.**

სტუდენტური სესხების პორტფელის გაზრდის შესაძლო სქემის სცენარი 2009-10 სასწავლო წელს:

პარამეტრი	1 სცენარი	2 სცენარი	3 სცენარი
სტუდენტების სავარაუდო რაოდენობა	25054	27624	27624
საფეხური	საბაკალავრო	საბაკალავრო, უ/პროფესიული	საბაკალავრო, უ/პროფესიული
სახელმწიფოს როლი	თანადამფინანსებელი	თანადამფინანსებელი	თანადამფინანსებელი
კომ. ბანკის როლი	თანადამფინანსებელი, მომსახურე ბანკი	თანადამფინანსებელი, მომსახურე ბანკი	თანადამფინანსებელი, მომსახურე ბანკი
საპროცენტო განაკვეთი	წლიური 16-22% (2009 წელს)	წლიური 12%(იცვლება გრძელვადიან პერსპექტივაში)	წლიური 18%
საკრედიტო რისკი	შერეული	შერეული	შერეული
სესხის ვადა	5-10 წელი	3-7 წელი თვე	3-7 წელი
საშეღავათო ვადა ძირითად თანხაზე	2- 5 წელი	1-5 წელი	1-5 წელი
საშეღავათო ვადა საპროცენტო გადასახდელზე	-	-	-
სახელმწიფოს მიერ გამოსაყოფი სასესხო რესურსის მოცულობა	არანაკლებ 6 000 000 ლარისა	არანაკლებ 10 000 000 ლარისა	15 000 000
კომ. ბანკების მიერ გამოსაყოფი სასესხო რესურსის მოცულობა	4 000 000 ლარი	6 000 000 ლარი	7 500 000
სრული დაფინანსება	10 000 000 ლარი	16 000 000 ლარი	22 500 000

კორპორატიული სექტორის წინადადებებები კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად:

იმისათვის, რათა **საწარმოებმა** (როგორც მსხვილმა, ასევე მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა) შესძლონ უ/განათლების საქველმოქმედო დასაფინანსებელი რესურსის გამოყოფა, აუცილებელია მათთვის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება:

აღნიშნული უპირველეს ყოვლისა გულისხმობს საგადასახადო სტიმულების შემუშავებას, რაც საშუალებას მისცემს საწარმოებს უ/განათლების დაფინანსება განახორციელონ საწარმოს ერთობლივი შემოსავლებიდან. შესაბამისად, განათლების დასაფინანსებლად გაღებული აღნიშნული კონტრიბუცია უნდა ჩაითვალოს საწარმოს ხარჯად და უნდა გამოაკლდეს მის ერთობლივ შემოსავალს(არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლის 1%-ის ოდენობისა). ამ შემთხვევაში საწარმოთა მოტივაცია იზრდება საქველმოქმედო დაფინანსების განსახორციელებლად.

შედეგად, სტუდენტური სესხების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად შემუშავდა საფინანსო სტიმულირების წინადადება, რაც საგადასახადო კოდექსში კონკრეტულ ცვლილებას გულისხმობს:

საწარმოს ერთობლივი შემოსავლებიდან გამოიქვითება სტუდენტის სწავლებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად გადახდილი ან სესხად გაცემული თანხა, მაგრამ არაუმეტეს საწარმოს ერთობლივი შემოსავლის 1%-ისა.

წინადადებები უ/განათლების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესების თაობაზე:

სახელმწიფოს მიერ საბაკალავრო პროგრამის დაფინანსება სუბსიდიურია და ყოველწლიურად ერთჯერად ხასიათს ატარებს. სახელმწიფო ფინანსების რაციონალიზაციის თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა მომხდარიყო აღნიშნული ყოველწლიური საგრანტო დაფინანსების ტრანსფორმირება გრძელვადიან, დაბალფასიან სასესხო რესურსად, რომელიც მიესადაგებოდა **მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის დარგის უ/საგანმანათლებლო პროგრამებს**. საგრანტო დაფინანსების ტრანსფორმირება შეღვათიან საკრედიტო რესურსად საშუალებას მოგვცემს ჩამოყალიბდეს **სტუდენტური სესხების ფონდი** და მისი კაპიტალიზაცია განხორციელდეს შემდეგი პროცედურის საფუძველზე:

⇒ საგრანტო რესურსი ტრანსფორმირდება შეღვათიან სასესხო რესურსად და გრძელვადიანი სტუდენტური სესხების მომსახურების გასაწევად ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა კომერციულ ბანკებს.(**მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის უ/საგანმანათლებლო პროგრამების მიზნობრიობის დაცვის შემთხვევაში**)

⇒ კომერციული ბანკები ემსახურებიან აღნიშნულ სესხს მის სრულ დაფარვამდე და რესურსს უბრუნებენ სტუდენტური სესხების ფონდს.

⇒ სესხების ვადიანობა უნდა იყოს 5-10 წელი, რაც ბიზნესისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს საშუალებას მისცემს სტუდენტური სესხი დაფარვა დაიწყოს სწავლის დასრულების შემდგომ შრომის ბაზარზე ინტეგრირებისთანავე.( სამაგისტრო პროგრამებისათვის 3-5 წლის ვადით).

- ⇒ სახელმწიფო აგრძელებს სასესხო რესურსის გამოყოფას იმ დრომდე, ვიდრე სტუდენტური სესხების ფონდის კაპიტალიზაცია ადექვატურ დონეს მიაღწევს, რის შემდეგაც ფონდი აგრძელებს აკუმულირებული რესურსის სტუდენტურ სესხებად ტრანსფორმირებას კომერციული საბანკო სისტემის მეშვეობით.
- ⇒ კომერციული ბანკები ანხორციელებენ აღნიშნული გრძელვადიანი რესურსის მომსახურებას რისთვისაც იღებენ საკომისიოს. საკრედიტო რისკს სახელმწიფო კისრულობს.
- ⇒ ამგვარად, სახელმწიფოს მიერ საგრანტო დაფინანსების მაგივრად იგივე მოცულობის გრძელვადიანი სასესხო რესურსი საფეხურებრივად აკუმულირდება სტუდენტური სესხების ფონდში და მომავალში მოემსახურება ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის სასწავლო პროგრამების საფასურის დაკრედიტებას. აღნიშნულ ფონდში სესხების დაბრუნდება პირველი გაცემიდან 5-10 წლის( მაგისტრატურის შემთხვევაში 3-5 წლის) განმავლობაში განხორციელდება.
- ⇒ ამგვარად სახელმწიფო საწის ეტაპზე *ქველმოქმედის* სტატუსიდან გადადის *კრედიტორის* როლში(მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის უ/საგანმანათლებლო პროგრამების დაკრედიტებაში) რაც სახელმწიფო ფინანსების რაციონალიზაციას იწვევს. დროთა განმავლობაში აღნიშნული მექანიზმის გავრცელება სხვა სასწავლო პროგრამებზეც იქნება შესაძლებელი.
- ⇒ როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის დაფარვა მისი *მომავალი შემოსავლების* ინსტრუმენტის გამოყენებით საშუალებას აძლევს სტუდენტს უკეთესად დაგეგმოს საკუთარი კარიერა და მიაღწიოს სწავლის უკეთეს შედეგებს.

აღნიშნული წინადადებები წარმოადგენს სტუდენტური სესხების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი ღონისძიებების საწყის რეკომენდაციებს.

რეკომენდაციების შესრულების ძირითადი განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს პოზიცია პრინციპული ცვლილებების გასატარებლად ( საკუთარ სასესხო რესურსზე საკრედიტო რისკის აღება, საგრანტო დაფინანსების ტრანსფორმირება სტუდენტური სესხების კრძელვადიან რესურსად, საწარმოთათვის უ/განათლების სასწავლო პროგრამის საფასურის დაფინანსების საშუალების მიცემა საერთო შემოსავლებიდან და ა.შ.).

კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის ძირითადი თემების ირგვლივ შეთანხმების შემთხვევაში ტექნიკური დეტალებისა და პირობების ფორმირება მოკლევადიან ამოცანას წარმოადგენს, რის მზადყოფნასაც ბანკები მიმდინარე ეტაპზე აფიქსირებენ.

რაც შეეხება კორპორატიული სექტორის მზადყოფნას უსაგანმანათლებლო სწავლების საფასურის საქველმოქმედო დაფინანსებისათვის, მიმდინარე ეტაპზე კომპანიები თავს იკავებენ ამგვარი განზრახულობებისაგან. ერთადერთ შესაძლო საშუალებად მათ მიაჩნიათ კომპანიებისათვის ზემოხსენებული საგადასახადო სტიმულების დაწესება, რის შედეგადაც შესაძლოა საქველმოქმედო საქმიანობის აქტივობა კვლავ აღდგეს.

სამომავლოდ საგადასახადო სტიმულირების მექანიზმის საფუძველზე მისაღწევი ქველმოქმედების ოპტიმალური მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის არანაკლებ 0,1-0,2%-ს უნდა გაუტოლდეს. აღნიშნულმა ფულად განზომილებაში უნდა წარმოქმნას არანაკლებ 15-30 მლნ ლარის მოცულობის საქველმოქმედო დაფინანსების ნაკადი და შესაბამისად უ/განათლების სწავლების საფასურის დაფინანსებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

ზემოხსენებული რეკომენდაციების გატარებით მნიშვნელოვანი პროგრესი მიიღწევა სტუდენტური სესხების ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის სფეროში.

ქველმოქმედების სტიმულირებისათვის საჭირო საგადასახადო ცვლილების პროექტი:

**საქართველოს საგადასახადო კოდექსი**

**მუხლი 172. გადასახადისაგან განთავისუფლება**

ი) საწარმოს ერთობლივი შემოსავლებიდან გამოიქვითება სტუდენტის სწავლისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად გადახდილი ან სესხად გაცემული თანხა, მაგრამ არაუმეტეს საწარმოს ერთობლივი შემოსავლის 1%-ისა.